F 75/2 13831

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო.

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ. დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. [illegible] გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „[illegible]“ და „მეცნიერება და ტექნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—20 კ., [illegible] ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—48, სტამბის ტელეფონი 13—30.

პარასკევი, 10 ივლისი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 156 (1311)

დღიური

- ავგისტოში საბჭოთა კავშირში ჩამოვა სატრანსპორტო მუშათა საერთაშორისო კავშირის დელეგაცია.
- 25 ავგისტოს შეიკრიბება ბალტიის სახელმწიფოთა კონფერენცია.
- გერმანიას ჯერ კიდევ არ გაუცია პასუხი [illegible] წინადადებაზე საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ.
- ფრანგებმა მოიგერიეს რიფების შეტევა მაროკოში.
- საბჭოთა მფრინავები გაფრინდენ მონღოლეთიდან პეკინისკენ.

დღეს, ივლისის 10, დილის 9 საათზე დანიშნულია

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის სხდომა

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

ცაკის მდივანი თოდრია.

სისტემატიური კონტროლის ქვეშ

ჩვენში საბჭოთა წესწყობილების დამყარება სწორეთ იმ ხანებში მოხდა, როცა რუსეთის მშრომელ მასსებს ანგარიში გასწორებული ჰქონდათ შინაურ კონტრ-რევოლიუციის მთავარ ძალებთან და მშვიდობიან ცხოვრებაზე გადასასვლელად ემზადებოდენ.

ამიტომ სამხედრო კომუნიზმის ის უარყოფითი შედეგები, რომელსაც ებრძვის პარტია და სახელმწიფო დღევანდელ მშვიდობიან სოციალისტურ აღმშენებლობის ხანაში, საქართველოს სინამდვილეში იმდენ დაბრკოლებას არ წარმოადგენს ახალ რევოლიუციურ კანონიერების განმტკიცებისათვის, როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რომელიმე ნაწილში.

მაგრამ ეს იმას კიდევ არ ნიშნავს, რომ ჩვენი ადგილობრივი მუშაკები უფრო საიმედო და მტკიცე ცოცხალ ძალას წარმოადგენენ ახალი კურსის შეთვისება-განხორციელებაში, ვიდრე სხვა რაიონის საბჭოთა მომუშავეები.

უარყოფით შედეგებთან ერთად, წარსულ სამოქალაქო ომს და მის თანამგზავრ სამხედრო კომუნიზმს ის დადებითი შედეგიც ჰქონდა, რომ მის ქარცეცხლში იკვეთებოდა მშრომელი მასსის მტკიცე კლასიური თვითშეგნება და ურყევი რევოლიუციონური ნება. აქ, რა თქმა უნდა, ჩვენ კიდევ ბევრი რამ დაგვრჩენია სხვებისგან გადმოსაღები და შესასწავლი.

ამიტომ, რომ უზრუნველყოფილ იქნას სოფლად და ქალაქად ახალი კურსის უცდომლივ და მიზანშეწონილად გატარება, რომ პასუხსაგებ საბჭოებში მდგომ ამხანაგებსა და ხელმძღვანელ ორგანოებსა შორის გაბმული იქნეს მუდმივი და უშუალო ურთიერთობის ქსელი, ერთ-ერთ აუცილებელ პირობათ უნდა მივიჩნიოთ საკონტროლო და სარევიზიო ორგანოების მუშაობის გაცხოველება, მათი მუშაობისათვის უფრო სისტემატიურ და მუდმივობის ხასიათის მიცემა, ვიდრე ეს დღემდე იყო.

რა თქმა უნდა, რევიზია ჩვენ არასოდეს არ გვესმოდა და არც ეხლა გვინდა გავიგოთ ისე, როგორც მხოლოდ და მხოლოდ დამსჯელი და ბრალმდებელი ორგანო. საბჭოთ. რევიზია მიზნათ უნდა ისახავდეს როგორც საქმის ვითარებასთან გაცნობა-დაახლოებას, აგრეთვე არსებულ შეცდომებში შესაფერი კორრექტივის შეტანას და სათანადო ახსნა-განმარტების მიცემასაც.

დროგამოშვებით და შემთხვევითი რევიზიებიდან, ჩვენი ორგანოები უნდა გადავიდნენ სისტემატიურ და მუდმივ მუშაობაზე, მათი ხედვისა და სმენის გარეშე არ უნდა დარჩეს რამდენადმე მნიშვნელოვან დროის განმავლობაში მაინც საბჭოთა სახელმწიფოს არც ერთი ნაწილაკი არც ერთი უჯრედიც კი.

გარდა იმისა, რომ [illegible] საკონტროლო ორგანოების ასეთ მუშაობას ექნება უაღრესი მნიშვნელობის პრაქტიკული შედეგები, ის გააძლიერებს აგრეთვე ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენელთა პასუხისმგებლობის შეგნებას და საქმის ნორმალურად წარმოებას ერთი ათად შეუწყობს ხელს.

მაგრამ ოფიციალურ საკონტროლო ორგანოებთან ერთად, ჩვენ მხედველობიდან არ უშვებთ არაოფიციალური რევიზიის მნიშვნელობას და მის დადებით შედეგებსაც.

რევოლიუციისა და ომის ხანაში მასსის თვითშეგნება იმდენათ გაიზარდა, იმდენათ იმატა მისმა საზოგადოებრივ თვითმოქმედებამ, რომ საბჭოთა კავშირს სრული უფლება აქვს იამაყოს ამ მხრივ მთელი ეგრედწოდებულ კულტურულ სახელმწიფოთა წინაშე.

არსად, ბურჟუაზიის არც ერთ სამფლობელოში ფართე მშრომელ მასსას ისე არ შესტკივა გული სახელმწიფოს ჭირ-ვარამზე, როგორც ჩვენში; არსად პროლეტარიატი და ღარიბი გლეხობა ისე ფხიზლად და პასუხისმგებლობის სრული შეგნებით არ ადევნებს თვალს ხელისუფლების ყოველდღიურ საქმიანობას, როგორც საბჭოთა რესპუბლიკებში.

ამის საუკეთესო მაჩვენებელია თუნდაც ის მასიური, ჯერ არ ნახული მოძრაობა, რომელიც ჩვენ გვაქვს მუშა და გლეხ კორესპონდენტების მრავალრიცხოვან ორგანიზაციების სახით.

ამნაირათ, როცა ჩვენ რევოლიუციურ კანონიერების განმტკიცებაზე ვლაპარაკობთ უნდა გვახსოვდეს, რომ ამ კანონიერების რეალობის ერთ-ერთ საწინდარს ერთის მხრივ პარტიულ და საბჭოთა საკონტროლო ორგანოების ფხიზელი მუშაობა წარმოადგენს და მეორე მხრივ, მთელი მშრომელი ხალხის მჭრელი თვალი და მახვილი ყური.

პარტუჯრედების მუშაობა სოფლად

III

კომუჯრედების ღია კრებების და ხელმძღვანელობის საკითხი *)

ხელმძღვანელობის საკითხი—ეს წმინდა შინაპარტიული საკითხი არის და ყოველ კონკრეტიულ შემთხვევაში, რასაკვირველია, უნდა სწყდებოდეს უჯრედის დახურულ კრებებზე, აქ უნდა მხედველობაში მივიღოთ ის გარემოება, რომ სოფლის უჯრედი ხელმძღვანელობს სოფლის საბჭოს იმ დროს, როდესაც ქალაქის საბჭოს ხელმძღვანელობს პარტკომიტეტი და არა უჯრედი. სოფლად პარტკომიტეტის ალაგს ამ მხრით იჭერს სოფლის უჯრედი და ჩვენ ვიცით, რომ მისი ღია სხდომები ხშირათ იმართება და იქ ისმება ისეთი საკითხები, როგორიც არის გზის, სკოლის, გადასახადის, კოოპერატივის, და სხვ. ასეთი საკითხები ისმება და სწყდება სოფლის უჯრედის ღია კრებებზე, რომლებზედაც ესწრება გლეხობის ფართო მასსები. ცხადია, რადგანაც ასეთ პირობებში სწყდება ეს საკითხები, ამის შესახებ მეორე დღესვე ტყობილობს სოფლის მთელი გლეხობა, როგორც პარტიის დადგენილება (სოფლათ ასე ეძახიან). გლეხობაც ისე სცნის, რომ პარტიის დადგენილება წინასწარ სავალდებულო ხდება მისთვის (რადგანაც პარტიამ დაადგინა). ამგვარათ შემდეგ ამ საკითხების სოფლის საბჭოზე გადატანას ეძლევა მხოლოდ ფორმალური ხასიათი და ისინი ვერ ხდებიან საბჭოს მსჯელობის საგნათ ნამდვილი ამ სიტყვის მნიშვნელობით. აქ უკვე საბჭოს წევრებს ეკარგებათ საკუთარი მსჯელობის სურვილი და თავის მოვალეობას იხდიან უბრალო თითის აწევით.

ვინც იცის სოფლის ცხოვრება და დღევანდელი პირობები ის დამეთანხმება, რომ ეს სიმართლეა.

გამოდის, რომ უჯრედმა უპარტიო გლეხობასთან მიღებული დადგენილება უნდა გაატაროს საბჭოში ფრაქციის საშუალებით. ეს ამბავი რაღაც ვერ არის კარგად დაწყობილი და მე ვფიქრობ, რომ ასეთი მეთოდი ხელმძღვანელობისა უნდა უარყოფილ იქნას. სახელმძღვანელო საკითხები, რომლების შესახებ გადაწყვეტილება ფრაქციის საშუალებით ცხოვრებაში ტარდება, უნდა სწყდებოდეს შინაპარტიული საშუალებით. მხოლოდ შემდეგ უნდა ტარდებოდეს ის სხვა ორგანოებში, როგორც ჩვენ ვსწერდით გუშინ პირველ წერილში.

ჩვენ გვაინტერესებს დღეს გლეხის თვითმოქმედება და მისი აქტიური ჩარევა ცხოვრების ფერხულში. მრავალჯერ არის ნათქვამი, რომ ეს უნდა მოხდეს საბჭოების, კოოპერატივების და სხვა ამგვარი ორგანოების საშუალებით და არა იმ გზით, რომ საბჭოს მიერ გადასაწყვეტი საკითხი გადასწყვიტოს კომუჯრედმა გლეხობის თანდასწრებით.

ეს ზღუდავს საბჭოს უფლებებს და სცემს მის ავტორიტეტს გლეხობის თვალში.

თუ ღია კრებებზე მსჯელობის საგნათ გახდა გზის, სკოლის, გადასახადის, კოოპერატივის და სხვა ამგვარი საკითხები, როგორც ეს ნახსენებია გაზეთ „კომუნისტის“ 28 ივნისის მოწინავეში.

მეკითხებით: რაღაზე უნდა იმსჯელოს იმავე სოფლის საბჭომ იმავე გლეხების თანდასწრებით? რასაკვირველია ისევ იმავე საკითხებზე იმავე კომუნისტების და უპარტიო გლეხების თანდასწრებით, ხოლო შეიძლება ეს მოხდეს მეორე ბინაში და ოქმს სათაური შეეცვლება: კომუჯრედის სხდომა—საბჭოს სხდომით.

სწორეთ სოფლის სინამდვილეში ჩვენ ასეთ სურათს ვღებულობთ და ამიტომ საჭიროა ყოველივე ეს გავითვალისწინოთ და სწორი მუშაობის ფარგლებში ჩავაყენოთ სოფლის უჯრედები, რის შემდეგ ცხადია გამოცოცხლდება სოფლად, როგორც საბჭოების აგრეთვე სხვა ორგანიზაციების მუშაობა. ასე შევძლებთ ჩვენ მე-14-ე პარტკონფერენციის დადგენილებების ცხოვრებაში გატარებას, რომლებიდანაც გამომდინარეობს, რომ პარტიამ უნდა შემოიკრიბოს თავის ირგვლივ გლეხობა საბჭოების და სხვა ორგანოების გამოცოცხლების გზით, გლეხობის თვით მოქმედების საშუალებით. თვითმოქმედების უნარი კი ჩნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გლეხს საშუალება ეძლევა მისი ყოფა-ცხოვრების მოსაგვარებლათ, გახდეს სრულუფლებიანი წევრი ადგილობრივი საბჭოსი.

ამ. ურუშაძე.

---

*) საკითხის გარჩევის წესით.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ინგლისის პროფკავშირთა გენერალური საბჭო მოითხოვს ანტი-საბჭოთა კამპანიის შეწყვეტას

ჩემბერლენმა განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობას არ აქვს განზრახვა შესწყვიტოს ურთიერთობა საბჭოთა მთავრობასთან

ამხ. კარახანის პროტესტი ნავთის სინდიკატის წარმომადგენლის დაპატიმრების და გასამართლების გამო

ინგლისის პროფკავშირთა საბჭოს მოთხოვნილებები.—ჩემბერლენი კონსერვატიული პრესის ანტი-საბჭოთა კამპანიის შესახებ.—საფრანგეთის პრესა ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ.—ჩინური გაზეთები ილაშქრებენ საბჭოთა ნავთის სინდიკატის წარმომადგენლის გასამართლების წინააღმდეგ „შერეულ სასამართლოს“ მიერ.—მოთხოვნილება საბჭოთა პურზე უცხოეთში.—სპარსეთის პრემიერი რიზა-ხანი სპარსეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ.

ინგლის-საბჭ. კავშირის ურთიერთობა

ტრედიუნიონების გენერალური საბჭო მოითხოვს ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის მოწესრიგებას.

ლონდონი, 8 ივლისი. სველსმა და სიტრინმა ტრედიუნიონების კონგრესის გენერალურ საბჭოს [illegible] ბალდვინს შემდეგი წერილი:



ამხ. სველს

ინგლისის პროფკავშირთა მთავარ საბჭოს თავმჯდომარე

„23 ივნისს თქვენ მიიღეთ ტრედიუნიონების კონგრესის გენერალურ საბჭოს დეპუტაცია, რომელმაც თქვენ გადმოგცათ რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვდა, რომ მთავრობას დაუყოვნებლივ განეახლებინა მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან, ხელი შეეწყო საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის განვითარებისათვის საბჭოთა კავშირთან ვაჭრობაზე საზღვაო ვაჭრობის შეღავათების გავრცელების გზით. თქვენი და გარეშე საქმეთა მინისტრის პასუხით დეპუტაცია დარწმუნდა, რომ მთავრობა ხელს შეუწყობს რუსეთის შესვლას ევროპის ხალხთა ოჯახში და მასთან ვაჭრობის განვითარებას.

ამის შემდეგ პრესაში იბეჭდებოდა პასუხისმგებელ მინისტრების განცხადებები, რომელთაც, გენერალურ საბჭოს აზრით, შეუძლიათ დააჩქარონ ურთიერთობის ჩაშლა ორ სახელმწიფოს შორის. ჩვენ დავალებული გვაქვს [illegible] თქვენ, რათა ინგლისის მთავრობამ თავიდან აიცილოს ყოველგვარი ისეთი გამოსვლები, რომელთაც შეუძლიათ ამჟამად დიპლომატიური ურთიერთობის ჩაშლა და მოვითხოვთ თქვენგან დაპირება, რომ ინგლისის მთავრობა არ გადასდგამს არავითარ ისეთ ნაბიჯს, რომელიც საფრთხეში ჩააგდებს მეგობრულ ურთიერთობას ორთავე სახელმწიფოს შორის და რომ თქვენი მთავრობა განხეთქილების თავიდან აცილების მიზნით, სავსებით გამოიყენებს მთელს შესაძლებლობას საბჭოთა კავშირის დიპლომატიურ წარმომადგენლებთან მოლაპარაკებისათვის.



ამხ. სიტრინ

ინგლისის პროფკავშირთა მთავარ საბჭოს მდივანი.

გენერალურ საბჭოს საგანგებო სხდომა მოწვეულია 10 ივლისისათვის, რის გამო შეიძლება ინებოთ და პასუხი მოგვცეთ ამ დღისათვის“.

ჩემბერლენი უკან იხევს.

ლონდონი, 8 ივლისი. პონსონბის შეკითხვაზე თემთა პალატაში, იხილავდა თუ არა ინგლისის მთავრობა დღეს საკითხს საბჭოთა კავშირთან დიპლომატიურ ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ, ჩემბერლენმა განაცხადა, რომ მთავრობას არა აქვს განზრახული ასეთი ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ ფხიზლად ადევნებს თვალყურს მოვლენათა განვითარებას.

შემდეგ ჩემბერლენმა განაცხადა, რომ ის არავითარ მნიშვნელობას არ აძლევს დილის პრესაში მოთავსებულ ცნობას, რომლის თანახმად მთავრობას მოეპოვება საკმაო საბუთები დიპლომატიურ ურთიერთობის შესაწყვეტად. ჩემბერლენმა აღნიშნა, რომ მთავრობა არ იხილავს არავითარ წინადადებას დიპლომატიურ ურთიერთობის შესახებ.

ორი კითხვა

ლონდონი, 9 ივლისი. თემთა პალატაში მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთის ლიდერმა ლანსბერიმ მიმართა გარეშე საქმეთა მინისტრს შეკითხვით. მიეცემა თუ არა პალატას საშუალება განიხილოს და გადასჭრას საკითხი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შესახებ მანამ სანამ მთავრობა მიიღებდეს დადგენილებას საბჭოთა კავშირთან დიპლომატიურ ურთიერთობის შეწყვეტის, ან სავაჭრო ხელშეკრულების გაუქმების შესახებ.

მთავრობის სახელით სამუელმა უპასუხა, რომ საქმის ვითარება აიძულებს მთავრობას მიიღოს ასეთი გადაწყვეტილება, ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება პარლამენტს, თუ ამ დროისთვის სესია დამთავრებული არ იქნა.

ლანსბერის მეორე შეკითხვაზე, წარუდგენს თუ არა გარეშე საქმეთა სამინისტრო თემთა პალატას ყველა დეპეშების და სხვა დოკუმენტების ასლებს, რომელიც ამტკიცებს საბჭოთა წარმომადგენლების ან აგენტების პასუხისმგებლობას ჩინეთში მომხდარ მღელვარებაში, — სამუელმა მიუთითა პასუხზე, რომელიც მან მისცა ლიბერალურ პარტიის წევრს კენვორტის 6 ივლისს.

საბჭოთა მთავრობის „ცოდვები“

ლონდონი. 8 ივლისი. ინგლისური გაზეთი „დეილი ნიუზ“-ი ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საკითხისადმი მიძღვნილ წერილში ჩამოსთვლის საბჭოთა კავშირისადმი წაყენებულ შემდეგ მთავარ ბრალდებებს:

ჩინეთში ფინ-იუი-სიანისათვის იარაღისა და სამხედრო მასალების მიწოდება; ფიან-იუი-სიანის ჯარებში, მონგოლეთში, წითელი არმიის ინსტრუქტორების მუშაობა; კარახანი მოითხოვს, რომ ფინ-იუი-სიანმა „დააჩქაროს თავისი გამოსვლა“; კომინტერნი, როგორც დოსერის დაპატიმრების დროს აღმოჩენილ დოკუმენტებიდან სჩანს, სცდილობს მოძრაობის გაღვივებას უცხოელთა წინააღმდეგ და საბჭოთა მთავრობაც არ იღებს ზომებს, რომ გაიმიჯნოს კომინტერნის ამ საქმიანობისაგან.

წერილის ავტორი დასძენს, რომ მრავალი მიზეზია ინგლისის მთავრობის სიფხიზლისათვის, მაგრამ საეჭვოა, რომ გადადგმული იქნეს გადამწყვეტი ნაბიჯები სხვა სახელმწიფოებთან შეუთანხმებლად. შემდეგ გაზეთი სწერს: „ხმების მიხედვით, რამდენიმე დღის წინად შესდგა კერძო საიდუმლო კონფერენცია ბოლშევიკ აგიტატორების წინააღმდეგ შეთანხმებულად გამოსვლის საკითხის განსახილველად.“

დამნაშავეა ინგლისი.

ლონდონი, 9 ივლისი. თემთა პალატაში შეტანილ შეკითხვაზე ვაჭრობის მინისტრმა განაცხადა, რომ 1924 წელს ინგლისიდან საბჭოთა კავშირში გატანილი იყო 25.392 გირვანქა სტერლინგის სასოფლო-სამეურნეო მანქანები მაშინ, როდესაც 1913 წელს რუსეთში გატანილი იყო 1.376.411 გირვანქა სტერლინგის სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

საფრანგეთის პრესა ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ

პარიზი, 8 ივლისი. ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საკითხს გაცხოველებით იხილავს პარიზის პრესა. ამ საკითხში აზრთა სხვადასხვაობას აქვს ადგილი. მაგრამ გაზეთების უმრავლესობა ფიქრობს, რომ ინგლისი არ გადასდგამს გაბედულ ნაბიჯს, კიდევ რომ სცდილობდეს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტას.

რეფორმისტული [illegible] „პეპლი“ ფიქრობს, რომ ბალდვინი [illegible] აქციონერებსა და მუშათა პარტიას შორის; უკანასკნელი მოითხოვს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაფართოებას. მაგრამ „ეხო-დე-პარის“ ლონდონელი კორესპონდენტი კატეგორიულად ამტკიცებს, რომ კონსერვატიული მთავრობა სცდილობს ურთიერთობის შეწყვეტას საბჭოთა მთავრობასთან. კორესპონდენტი ამასთანავე ხაზს უსვამს მტრულ განწყობილებას საბჭოთა კავშირისადმი მუშათა პარტიის ზოგიერთ ლიდერების, მაგ. თომასის მხრივ.

გაზეთ „ევრის“ ლონდონელი კორესპონდენტი იძლევა პასუხს კითხვაზე, გამოიწვევს თუ არა ურთიერთობის შეწყვეტა ომს ორივე ქვეყნებს შორის. კორესპონდენტი [illegible] რომ ინგლისი არასოდეს არ აწარმოებს ომს მოკავშირის გარეშე. თუ ის იპოვის მოკავშირეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, არ შეჩერდება ომის წინაშე, რომელიც ბოლოს მოუღებს საბჭოთა რეჟიმს და საბჭოთა კავშირის პროპაგანდას ინდოეთში.

დამოკიდებულება იაპონიასთან

იაპონია-საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობა

ტოკიო, 8 ივლისი. „ჯაპან ტაიმს“ მოწინავე წერილში ეხება [illegible] გოტოს გეგმებს საბჭოთა კავშირის და იაპონიის ეკონომიური ურთიერთობის გაუმჯობესების შესახებ. ჟურნალისტებთან საუბრის დროს გოტომ განაცხადა, რომ მან ამას წინად ინახულა პრემიერი კატო, რათა გასცნობოდა მთავრობის აზრს ამ საკითხის შესახებ, რადგან მას ეშინია, რომ პოლიტიკანებმა არ გამოიყენონ საბჭოთა კავშირთან ვაჭრობა მხოლოდ თავისი პარტიის სასარგებლოდ. პრემიერი სავსებით დაეთანხმა გოტოს აზრს, რომ საბჭოთა კავშირის წარმოებები არ უნდა წარმოადგენდენ ცალკე პარტიების შემოსავლის წყაროს. გოტომ აღნიშნა აგრეთვე, რომ შესაძლებელია იაპონიის მოსახლეობის სიჭარბის საკითხის გადაჭრა ციმბირში დასახლების გზით.

გაზეთი კომენტარიებს უკეთებს გოტოს ამ განცხადებას და სავსებით მართებულად სთვლის გოტოს გალაშქრებას ეხლანდელ პოლიტიკურ პარტიების წინააღმდეგ. გაზეთი აღნიშნავს, რომ დროა ბოლო მოეღოს ისეთ [illegible], როგორიც არის კენსეკაი, სეიუკაი, [illegible] და სხვა. ისინი უნდა შესცვალონ ახალმა პარტიებმა, რომლებიც ზრუნავენ სახელმწიფოს ინტერესებზე.

იაპონია-საბჭოთა კავშირის მეგობრობა.

ტოკიო, 8 ივლ. 7 ივლისს ბარონ გოტოს თავმჯდომარეობით გაიმართა რუსეთ-იაპონიის საზოგადოების კრება. კრებას დაესწრენ საბჭოთა კავშირის ელჩი კოპპი და საელჩოს თანამშრომელი.

პრინცი კანინი მიესალმა კრებას და გამოსთქვა სიხარული იაპონია-საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის აღდგენის გამო.

საპასუხო სიტყვაში საბჭოთა კავშირის ელჩმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის და იაპონიის ურთიერთობა, რომელიც დამყარებულია საერთო ინტერესებზე შორეულ აღმოსავლეთში, გადაიქცევა მკიდრო მეგობრობად და თანამშრომლობად.

პოლონელი მემამულეები თავს იმართლებენ

ვარშავა. 8 ივლისი. პოლონური გაზეთი „კურიერ პორანნი“, საბჭოთა მთავრობის ნოტასთან დაკავშირებით სანაპირო ინცინდენტის გამო, ათავსებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მტრობით გაჟღენთილ წერილს. წერილში აღნიშნულია უკანასკნელი კონფლიქტები გერმანიასა და ინგლისთან, რომლებიც, ვითომდა, წარმოადგენენ „საბჭოთა ოინების“ შედეგს.

სპარსეთის პრემიერი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შესახებ

პახლევი. 8 ივლისი. 6 ივლისს პახლევის ნავთსადგურში ჩამოვიდა სპარსეთის პრემიერი რიზა-ხანი, რომელსაც ქალაქ გარეთ მიეგებენ საბჭოთა კავშირის ელჩი და საბჭოთა დაწესებულებების თანამშრომელნი. რიზა-ხანმა მადლობა გადაუხადა ყურადღებაზე და სთხოვა ტელეგრაფით გადასცენ სალამი იურენევს.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელ მინკინთან საუბრის დროს პრემიერმა აღნიშნა სპარსეთ-საბჭოთა მეგობრობის სიმტკიცე და მისი თანასწორუფლებიანობა. აგრეთვე განაცხადა, რომ სპარსეთის განახლება შედეგია საბჭოთა კავშირის დახმარებისა.

დასასრულ რიზა-ხანმა სთხოვა გადასცენ სალამი და მადლობა საბჭოთა მთავრობას გულწრფელი მეგობრობისათვის.

პრემიერმა მიიღო უფროსობა საბჭოთა დაწესებულებებზე.

საბჭოთა პური უცხოეთის ბაზარზე

მოსკოვი, 9 ივლისი. საბირჟო ყრილობათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ კაგანოვიჩმა, უცხოეთიდან დაბრუნებისას განაცხადა, რომ დასავლეთ ევროპაში მოელიან პურის დამაკმაყოფილებელ მოსავალს. მერყევი მდგომარეობა დასავლეთ ევროპის პურის ბაზარზე აცილებული იქნება იმით, რომ ჩრდილოეთ ამერიკაში მოელიან ცუდ მოსავალს.

ჩვენ მეტოქეობა უნდა გაუწიოთ ევროპის პურის ბაზარზე—არგენტინას, კანადას და ავსტრალიას. ჩვენს პურს ევროპის ბაზარზე დიდი სახელი აქვს მოხვეჭილი, მიუხედავად იმისა, რომ პურის გატანა 1924—25 წ.წ. შეწყვეტილი იყო. ჩვენი ჭვავი როტერდამის ბირჟაზე ფასობს უფრო ძვირად, ვიდრე ამერიკის, თავის საუკეთესო ღირსების გამო. მეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ჩვენ ვაწვდით ევროპას სავაჭრო ხელშეკრულებებში აღნიშნულზე უკეთეს ხარისხის პურს.

უცხოელ სამთომადნო მუშათა დელეგაცია საბჭოთა კავშირში

ლონდონი, 8 ივლისი. საერთაშორისო სამთომადნო მუშათა კონფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა, ერთი თვით გადასდოს დელეგაციის გაგზავნა საბჭოთა კავშირში. დელეგაცია უნდა გამგზავრებულიყო ივლისის ბოლო რიცხვებში. დელეგაციაში შევლენ თითო წარმომადგენელი ინგლისიდან, გერმანიიდან და პოლონეთიდან. დელეგაციას მეთაურობს ფედერაციის მდივანი ფრანკ ხოჯესი.

ვაჭრობა აღმოსავლეთთან

მოსკოვი, 9 ივლისი. სასოფლო-სამეურნეო მანქანების სინდიკატი შეუდგა სამეურნეო იარაღების გაგზავნას აღმოსავლეთში.

საგარეო ვაჭრობის კომისარიატის ცნობებით, სავაჭრო ბრუნვა ოსმალეთთან წრეულს 700 000 ოსმალურ ლირამდე ავიდა თვეში, შარშან კი მხოლოდ 400.000 უდრიდა.

საგარეო ვაჭრობის ბანკის განყოფილების გახსნამ სტამბოლში და შერეულ—ოსმალეთ-საბჭოთა სააქციონერო საზოგადოებათა დაარსებამ კიდევ უფრო უნდა შეუწყოს ხელი ოსმალეთთან ვაჭრობის განვითარებას.

კავკასიის მინერალური წყლების სამმართველომ ხელშეკრულება დასდო რუსეთ-სპარსეთის საზოგადოება „შაკრ“-თან კავკასიის მინერალური წყლების გატანის შესახებ სპარსეთში.

საბჭოთა ნავთის სინდიკატის წარმომადგენლის დაპატიმრების გამო

ამხ. კარახანის ნოტა

პეკინი. 8 ივლისი. დოსერის დაპატიმრების გამო საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ჩინეთში კარახანმა მიმართა ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრს ნოტით, რომელშიაც აცხადებს, რომ მიუხედავად ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრის დაპირებისა, დოსერი დღემდის დაპატიმრებულია და მისი საქმის განხილვა გრძელდება.

კარახანი მოითხოვს ნამდვილ ზომების მიღებას საბჭოთა მოქალაქეების დასაცავად ამგვარ ძალადობათაგან და აგრეთვე დოსერის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას და მისი საქმის შეწყვეტას.

ნოტაში, სხვათაშორის, ნათქვამია: „რამდენათაც არც ჩინეთი და არც საბჭოთა მთავრობები არ სცნობენ ე. წ. „შერეულ სასამართლოს,“ საბჭოთა მოქალაქის დევნა და მისი ამგვარად გასამართლება წარმოადგენს საერთაშორისო უფლების და იურიდიულ ჩვეულებების შეურაცხყოფას. სასამართლო შანხაიში არის ჩინეთის სუვერენულ უფლებების დარღვევა. ეს არის ხულიგნური ინსცენიროვკა, რომელიც მოაწყო უცხოეთის კვარტალის პოლიციამ, რომელიც სცდილობს დაამტკიცოს რომ არა ის, არამედ სხვები არიან პასუხისმგებელი ჩინეთის სამართლიან აღშფოთებისათვის.

ეხება რა საკითხს დოსერის „მანდატის“ შესახებ, ნოტა აცხადებს [illegible], რაც პოლიციამ მოახდინა ჩხრეკა და [illegible] ვერ აღმოაჩინა, დოსერის ბარგი დატოვებული იყო საბაჟოში.

შ. თეთრგვარდიელმა ისარგებლა ინსპექტორის არ ყოფნით და „გაახსენდათ“ მონახათ დოკუმენტი, რომელიც წინასწარ იყო დამზადებული და არმოადგენდა სიყალბეს, რათა გაემართლებიათ უკანონო საქციელი პოლიციის და შერეულ სასამართლოს წინაშე.

შემდეგ ნოტაში აღნიშნულია: „საბჭოთა მთავრობას არა ერთხელ გაუსვამს ხაზი, რომ საბჭოთა მოქალაქეები ჩინეთში ექვემდებარებიან მხოლოდ ჩინეთის კანონმდებლობას. თუ ჩინეთის ხელისუფლება საჭიროთ დაისახავს, დოსერს შეუძლია მოთხოვნისთანავე წარდგეს ჩინეთის სასამართლოს წინაშე. მე ეჭვი არ მეპარება, რომ ჩინეთის სასამართლოს უკანონოთ მიაჩნია დაპატიმრება, მაგრამ იგი ვერ შესძლებს საბრალმდებლო სკამზე დასვას ისინი, ვინც პასუხისმგებელია ამ უკანონო დაპატიმრებისათვის, ვინაიდან ამ საქმეში დამნაშავენი, ჩინეთში გამეფებულ განსაკუთრებულ რეჟიმის გამო, სარგებლობენ სრული ხელშეუხებლობით“.

„საჭიროა,—ნათქვამია ნოტაში—რომ იმათ, ვინც მოაწყო და სარგებლობს შერეული სასამართლოთი თავიანთი პოლიტიკის გასატარებლად ვერ შესძლონ თავის გამართლება იმით, რომ მათ არ იცოდენ, რომ საბჭოთა მოქალაქეები მხოლოდ ჩინეთის სასამართლოს ექვემდებარებიან“.

ჩინური გაზეთი დოსერის საქმის შესახებ

პეკინი. 8 ივლისი. ჩინური გაზეთი „ჩინ-ბაო“ ერთ წერილში არჩევს დოსერის საქმეს და ამბობს:

„აპრილში ჩინურ ცენტ. ბანკის დირექტორმა ჩინეთის მრეწველობის სახელით დასდო ფრიად მნიშვნელოვანი ხელშეკრულება დოსერთან. რომელიც მოქმედობდა საბჭოთა „ნავთის სინდიკატის“ მინდობილობით. ამ ხელშეკრულობის ძალით კანტონის მთავრობა იღებდა ნავთის ნაწარმოებს პირდაპირ ვლადივოსტოკიდან. ამგვარად ირღვეოდა ამერიკულ და ინგლისურ ფირმების მიერ გამოცხადებული ნავთის ბლოკადა.

დოსერი არ დააპატიმრეს გონკონგში, რადგან მისი დაპატიმრება ბრიტანეთის კოლონიაში უხერხულობას წარმოადგენდა ინგლისის ინტერესებისათვის. ფორმალურად იმისი დაპატიმრება მოხდა შანხაის უცხოელ უბანში. ეს იმიტომ იქნა მოწყობილი ამგვარად, რომ შემდეგ ჩემბერლენს საშუალება ჰქონოდა განეცხადებინა: დოსერი დააპატიმრა არა ინგლისის ადმინისტრაციამ, არამედ შანხაის ქალაქის თვითმართველობამო“.

ომი მაროკოში

პარიზი, 8 ივლისი. „ჰავასის“ სააგენტო ფეციდან იუწყება; უეცანას ოლქის ჩრდილოეთით საფრანგეთის მფრინავმა რაზმმა დაატოვებია პოზიციები საომარი მასალებით ბუხკას და უედ-დალალის გარნიზონებს,

ყაჩაღების კავშირი

პარიზი. 8 ივლისი. საფრანგეთის მინისტრი მალვი და ესპანეთის დიქტატორი დე-რივერა შეთანხმდენ სამხედრო თანამშრომლობის შესახებ მაროკოში. მაროკოში გაგზავნილი იქნება დიდძალი სამხედრო მასალა და ჯარის ახალი ნაწილები. სამხედრო მოქმედების განახლების წინ აბდ-ელ-ქერიმს წინადადებას მისცემენ დასთანხმდეს ზავზე და თუ მან ეს წინადადება უარყო, დაიწყება შეტევა.

„ლიუმანიტე“-ს ცნობით ეს „საზავო“ პირობები მიუღებელი იქნება აბდ-ელ-ქერიმისათვის და საფრანგეთის ჯარი ემზადება რიფების ოლქში შესაჭრელად ამ ოლქის საბოლოოდ დაპყრობის მიზნით.

მადრიდში უკმაყოფილო არიან ფრანგებთან თანამშრომლობით. დე-რივერას წინააღმდეგ ილაშქრებენ მთავრობის ზოგიერთი წევრებიც კი.

პოლონეთი და ჩეხო-სლოვაკია

პოლონეთ—ჩეხო-სლოვაკიის პოლიტიკური შეთანხმება

კოვნო, 8 ივლისი. აქ მიღებულია ცნობები, რომ აგვისტოსათვის ვოლინის რაიონში პოლონეთის არმია ამზადებს დიდ მანევრებს. მანევრებს დაესწრებიან ინგლისის, საფრანგეთის ჩეხო-სლოვაკიის, რუმინეთის და ბალტიის ზღვის სანაპირო სახელმწიფოების სპეციალური წარმომადგენლები. მანევრების დროს განზრახულია პოლონეთისა და ჩეხო-სლოვაკიას შორის პოლიტიკური შეთანხმების ხელის მოწერა.

შეთანხმებამ უნდა განსაზღვროს ყოველ მათგანის როლი რომელიმე მესამე სახელმწიფოსთან ომის შემთხვევაში—უმთავრესად საბჭოთა კავშირთან და გერმანიასთან. თუ პირობით შეკრულ რომელიმე მხარეს მოუხდა ომი გერმანიასთან, მაშინ მეორე მხარე ავტომატიურად ჩაერევა ომში, როგორც მოკავშირე.

საგარანტიო ხელშეკრულების გარშემო

ბალფურის განცხადების მნიშვნელობა.

ლონდონი, 8 ივლისი. ეხება რა საგარანტიო ხელშეკრულების საკითხს, პრესა აღნიშნავს მოსალოდნელ მნიშვნელოვან ცვლილებას ინგლისის პოლიტიკაში, რაც გამომდინარეობს ზედაპალატაში განცხადებიდან იმის შესახებ, რომ ინგლისი ფიქრობს დასდოს საარბიტრაჟო ხელშეკრულებები, როგორიც მას მიაჩნია საჭიროთ საფრანგეთსა, გერმანიასა, პოლონეთსა და სხვა სახელმწიფოებს შორის.

ლონდონის გაზეთების პოლიტიკური კორესპონდენტები ხაზს უსვამენ ამ განცხადების მნიშვნელობას. მისი მიზანია თავიდან აიცილოს ის დებულება, რომ ვერსალის ხელშეკრულების პუნქტებთან დაკავშირებით აღძრული საკითხები არ უნდა იქნას განხილული საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ, არამედ მოწესრიგებული უნდა იქნას ხელშეკრულებაზე ხელის მომწერ სახელმწიფოს განმარ[illegible].

პრესა ხაზს უსვამს, რომ თავის განცხადებით ბალფური იმ გარემოებას, რომ ერთა ლიგის წესდების მე-19 მუხლი რჩება ძალაში და რომ 1919 წლის საზღვრების საკითხიც აგრეთვე შეიძლება განხილული იქნას 19 მუხლის თვალსაზრისით.

ლიუტერის გამოსვლა.

ბერლინი, 8 ივლისი. რეიხსტაგის კომისიის სხდომაზე 8 ივლისს რეიხსკანცლერმა ლიუტერმა განაცხადა, რომ მთავრობა ფიქრობს, სანამ საფრანგეთს გაუგზავნიდეს პასუხს ნოტაზე საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ, აცნობოს კომისიას თავისი პასუხის შინაარსი. ლიუტერმა დასძინა, რომ ამ საკითხის განხილვა რეიხსტაგის პლენუმზე მისი აზრით მიზანშეუწონილია, ვინაიდან განხილვის დროს შეეხებოდენ ნოტის დეტალებს, რაც ეწინააღმდეგება დიპლომატიურ ჩვეულებებს, რომლის თანახმად ნოტის გამჟღავნება არ შეიძლება მის ადრესატისათვის ჩაბარებამდე.

მდგომარეობა ჩინეთში

გენ. ფინ-იუი-სიანი ჩინეთში შექმნილ მდგომარეობის შესახებ

ჩინეთის მთავრობის მოლაპარაკება უცხოეთის სახელმწიფოებთან

ინგლისელების პროვოკაციული პოლიტიკა კანტონში

ბორას პლატფორმაზე

პეკინი. 8 ივლისი. ჩრდილოეთ-ჩინეთში მცხოვრებ გამოჩენილ ამერიკელების ერთ ჯგუფმა მიმართა სენატორ ბორას შემდეგი განცხადებით: „ჩრდილოეთ ჩინეთის ამერიკელები იცავენ თქვენს თვალსაზრისს ჩინეთის საქმეებში ჩაურევლობის შესახებ და თქვენთან ერთად ემხრობიან ისეთი ზომების მიღებას, რომელთა მიზანია ექსტერიტორიალობის უფლების შეზღუდვა.

ვერ შეთანხმდენ

პეკინი. 8 ივლისი. დღემდის არ დაწყებულა მოლაპარაკება დაინტერესებულ სახელმწიფოებსა და ჩინეთის მთავრობას შორის, რადგან ვერ შეთანხმდენ განსახილველ საკითხების გარშემო. ჩინეთის მთავრობა მოითხოვს, რათა კონფერენციაზე განხილული იქნას ყველა საკითხები, რომელიც შეეხება ჩინეთის და სახელმწიფოებს ურთიერთობას. სახელმწიფოები კი თანახმა არიან განხილული იქნას მხოლოდ შანხაის ამბების საკითხი.

ჰონკონგში და კანტონში

პეკინი. 8 ივლისი. მდგომარეობა ჰონკონგსა და კანტონში უცვლელია გაფიცვის მოძრაობა ფართოვდება. გაიფიცენ ყველა მექანიკოსები და ხომალდსავლების მუშები. გამოქვეყნებულია განკარგულება, რომელიც კრძალავს გონკონგიდან ნახშირის გატანას განსაკუთრებული ნებართვის მიუღებლად და აგრეთვე [illegible] პროკლამაცია, რომელიც კრძალავს პროპაგანდისტულ ლიტერატურის ბეჭდვას.

აკრძალულია ჩინური გაზეთები გონკონგში.

გაფიცულთა რიცხვი დღითი-დღე იზრდება: ბორნები და ნავები გონკონგსა და კანტონს შორის სავსეა ლტოლვილებით გონკონგიდან.

კანტონის მთავრობის პროტესტები უპასუხოთ რჩება. კანტონის მთავრობის გარეშე საქმეთა სამინისტრომ მოითხოვა კანტონის ტერიტორიალურ წყლებიდან სამხედრო გემების და შამინიდან უცხოეთის ჯარების გაყვანა; ამ მოთხოვნილების საპასუხოთ ინგლისის კონსულმა სთხოვა გონკონგს კიდევ ორი ნაღმოსანის გამოგზავნა. ამგვარმა საქციელმა ყველა მცხოვრებთა აღშფოთება გამოიწვია.

კანტონის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რათა თავიდან აიცილოს შურისძიების აქტები მცხოვრებთა მხრივ. უცხოეთის სამხედრო გემების რიცხვი კანტონში 10-დე აღწევს.

ახალი მღელვარება

პეკინი, 8 ივლისი. შანხაის ქალაქის თვითმართველობამ განკარგულება გასცა, რათა შესწყვიტონ ელექტრონის ძალის მიწოდება ჩინელთა იმ სამრეწველოებისათვის, რომლებმაც განაახლეს მუშაობა. ასეთმა ზომებმა გამოიწვია ახალი მღელვარება ჩინეთის მოსახლეობაში. ეს მღელვარების შესახებ ცნობები ჯერ არ არის.

სტუდენტების განთავისუფლება

პეკინი, 8 ივლისი. ორი ჩინელი სტუდენტი, რომლებიც დააპატიმრეს შანხაიში ამერიკელ მეზღვაურ ოფიცერის მიერ ხალხისათვის სროლასთან დაკავშირებით, გაანთავისუფლეს.

ამერიკელ მეზღვაურის მოკვლა

პეკინი, 8 ივლისი. ნავთსაყუდში (?) აღმოაჩინეს მოკლული ამერიკელი მეზღვაურის გვამი.

ჯილდო მოხალისეებს

პეკინი. 8 ივლისი. იაპონიის ახალშენმა შანხაიში მოაწყო ფულის შეკრება მოხალისეთა დასაჯილდოებლად. შეკრებილია 10.000 დოლარი.

იაპონიის პარტიების წარმომადგენლები ჩინეთში

პეკინი, 8 ივლისი. შანხაიში ჩავიდნენ იაპონიის პარტიის სეიუკაის და კენსეკაის წარმომადგენლები. მათი ჩასვლის მიზანი შექმნილი მდგომარეობის გამორკვევაა.

პრესის თანამშრომელთან საუბრის დროს, სეიუკაის წარმომადგენელმა განაცხადა: „იაპონელები ყოველმხრივ თანაუგრძნობენ ჩინეთის თანამედროვე ბრძოლას ეროვნული განთავისუფლებისათვის. იაპონიაც განიცდიდა ჩაგვრას წარსულში. დასავლეთ სახელმწიფოების ძალადობას შეიძლება გაუწიოთ წინააღმდეგობა, თუ იაპონია, ჩინეთი და რუსეთი იქნება ერთად. მტკიცე და ხანგრძლივი ზავი შორეულ აღმოსავლეთში შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩინეთს მოეპყრობიან როგორც თანასწორ სახელმწიფოს“.

ამერიკა და ჩინეთი

პეკინი, 8 ივლისი. 8 ივლისს პეკინში შანხაიდან ჩავიდა შეერთებული შტატების ელჩი ჩინეთში მაკ-მურეი.

იაპონიის პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს მაკ-მურეიმ უარჰყო პრესის ცნობები, რომ ვითომ ამერიკა იძლეოდეს წინადადებას ახლო მომავალში მოწვეული იქნეს კონფერენცია ექსტერიტორიალობის საკითხის განსახილველად. სხვათა შორის, მაკ-მურეიმ განაცხადა, რომ ამერიკას განზრახვა აქვს იმოქმედოს ჩინეთის პრობლემით დაინტერესებულ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის პრინციპის მტკიცედ დაცვით. არავითარი ღონისძიებანი, ჩინეთის მთავრობასთან რაიმე მოლაპარაკების საწარმოებლად, არ იქნება მიღებული პეკინის დიპლომატიურ კორპუსთან შეუთანხმებლად.

პროფკავშირების „თავისუფლება“

პეკინი, 8 ივლისი. ჩინეთის ვაჭრობის და სასოფლო მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშავა პროფკავშირების ლეგალიზაციის სქემა. ამ სქემით პროფკავშირთა წევრებისათვის წესდება ასაკის ცენზი არა ნაკლებ 16 წლისა, ხოლო კავშირთა დამაარსებელთათვის არა ნაკლებ 30 წლისა.

შანხაის პროფკავშირთა საბჭომ პეკინში გაგზავნა პროტესტი ამ შეზღუდვათა წინააღმდეგ. საბჭო მოუწოდებს მუშებს იბრძოლონ მუშათა ორგანიზაციების და გაფიცვების თავისუფლებისათვის.

ბრალდებები უკან წაიღეს

პეკინი, 8 ივლისი. შანხაიდან იტყობინებიან, რომ შერეულმა სასამართლომ მოხსნა ყველა ბრალდებები, რომელიც წაყენებული იყო დოსერის ცოლის წინააღმდეგ.

ფინ-იუი-სიანი ჩინეთის მდგომარეობის შესახებ

პეკინი, 8 ივლისი. სააგენტო „იუნაიტედ-პრეს“-ის ლონდონის განყოფილებამ სთხოვა ფინ-იუი-სიანს გამოეთქვა თავისი აზრი ჩინეთის ამბების შესახებ. ამის საპასუხოდ ფინ-იუი-სიანმა განაცხადა.

„ეხლანდელი მძიმე კრიზისის აღმოფხვრა შეიძლება მხოლოდ იმ ცალმხრივ ხელშეკრულებების გაუქმებით, რომლებიც თავზე მოახვიეს ჩინეთს. მღელვარების და უწესრიგობის მთავარი მიზეზი ჩინეთში — ეს არის უცხოეთის იმპერიალიზმის სისტემა, შექმნილი უთანასწორო ხელშეკრულებათა ნიადაგზე. ცნობილია, რომ უმეტეს შემთხვევაში შინაურ არევ-დარევას ჩინეთში იწვევენ ის პირები, რომლებიც იმყოფებოდენ ამ უთანასწორო ხელშეკრულების მფარველობის ქვეშ. ჩვენ მტრულად არ ვუცქერით ინგლისელების დიდ უმრავლესობას. მაგრამ სასტიკად ვეწინააღმდეგებით ინგლისელების იმ უმცირესობას, რომელსაც ამ ჟამად თავის ხელში უპყრია მართვა-გამგეობა და აწარმოებს ჩაგვრის უხეშ, იმპერიალისტურ პოლიტიკას.

თუ ინგლისის სახელმწიფო მოღვაწეები გონიერი და შორსმჭვრეტელი ხალხია, ისინი გადასდგამენ პირველ ნაბიჯს უთანასწორო ხელშეკრულებათა გაუქმების საქმეში. მაშინ კვლავ განმტკიცდება ინგლის-ჩინეთის მეგობრობა“.

კონფერენცია უცხოელთა პრივილეგიების შესახებ ჩინეთში

ვაშინგტონი, 8 ივლისი. ოფიციალურ წრეებში ფიქრობენ, რომ საფრანგეთის მიერ ვაშინგტონში დადგენილებათა ხელის მოწერასა და ჩინეთში უცხოელების საწინააღმდეგო დემონსტრაციის შორის არსებობს რაღაც კავშირი. იმავე წრეების აზრით — [illegible] ტებით უფრო განმტკიცდება პეკინის მთავრობა და უცხოელებსაც გაუადვილდებათ მისი მხარის დაჭერა. ეს წრეები ძალიან დიდ იმედებს ამყარებენ ჩინეთში უცხოელთა პრივილეგიების შესახებ მოსაწვევ კონფერენციაზე და იმედი აქვთ, რომ დაძლევენ სხვა სახელმწიფოების ჯიუტობას ამ კონფერენციის წინააღმდეგ.

შანხაის ამბების გამომკვლევი კომისია

ლონდონი, 8 ივლისი. შანხაის ამბების გამომკვლევ შერეულ კომისიის მოხსენების შესახებ საფრანგეთის გაზეთებმა გამოაქვეყნეს დაწვრილებითი ცნობები. ამ ცნობებზე დამყარებით „დეილ ტელეგრაფის“ დიპლომატიური კორესპონდენტი სწერს შემდეგს: „კომისია ალბათ, განგებ არ იძლევა სრულ ცნობებს. ამ კომედიას უნდა ერთხელ და სამუდამოთ მოეღოს ბოლო, რადგან ამგვარი ქცევით ჩინეთშიც ისევე ეცემა ჩვენი პრესტიჟი და იჩაგრება ჩვენი ინტერესები, როგორც ეს მოხდა ოსმალეთსა და რუსეთში; კორესპონდენტი უმატებს: „საერთაშორისო ორგანიზაციამ ჯერ ოსმალეთში და რუსეთში მოსპო რელიგია და ქონება უცხოელებსა და ეხლა ამასვე ანხორციელებს ჩინეთშიც“.

სროლა ქორწილის დროს

პეკინი, 8 ივლისი. როგორც გამოირკვა დამატებითი ცნობებით — ამერიკელმა საზღვაო ოფიცერმა ერთი ჩინელის ქორწილის დროს ისროლა ხალხში და რამდენიმე სული დასჭრა.

ამის შესახებ ჩინეთის საგარეო საქ. სამინისტრომ სასტიკი პროტესტი გადასცა დიპლომატიურ კორპუსს.

ეკონომიური კრიზისი ინგლისში

თავს იმართლებენ

ლონდონი, 8 ივლისი. ნახშირის მრეწველობის მდგომარეობის შესახებ კამათის დროს, ნახშირის მრეწველობის მინისტრმა სთქვა: „ამტკიცებენ, რომ ინგლისში ნახშირის მრეწველობის კრიზისი გამოწვეულია იმით, რომ ჩვენ არ გაგვაქვს ნახშირი რუსეთში. მაგრამ რუსებმა აღადგინეს თავისი ნახშირის მრეწველობა და აღარ საჭიროებენ ინგლისის ნახშირს“.

საშინელი სურათი

ლონდონი, 8 ივლისი. ნახშირის მრეწველობის შესახებ კამათის დროს თემთა პალატაში, მუშათა პარტიის წევრმა ხორნმა მოიყვანა შემდეგი ცნობები: **1924 წლის მაისში იყო 38000 უმუშევარი მაღაროს მუშა, 1925 წლის მაისში — 99.000, ივნისში კი ეს რიცხვი — 301.000 გაიზარდა.** ხორნმა სთქვა, რომ ახლო მომავალში მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ფესვიერი ბრძოლა ფულების ფლანგვასთან.

მოსკოვი, 9 ივლისი. იუსტიციის სახ. კომისარი მიმართავს ყველა ადგილობრივ სასამართლოებისა და პროკურორებისადმი განმარტავს, თუ როგორ უნდა მოაწყონ აუცილებლათ გეგმიანი და შეთანხმებული კამპანია საბჭოთა დაწესებულებებში ფულების ფლანგვის წინააღმდეგ.

ის პირები, რომელთაც უდაოთ თვითონ გაუფლანგიათ ფული ან პირდაპირი ხელის შემწყობნი იყვენ, გასამართლებამდის უნდა აუცილებლათ ჩამოშორებულ იქნენ თავიანთ თანამდებობას. გაფლანგვის საქმე უნდა გაირჩეს სასწრაფოდ: ე. ი. მის გამომჟღავნებას და საქმის გარჩევამდის არ უნდა გავიდეს ერთ თვეზე მეტი. წინადადება ეძლევათ გაფლანგვის საქმეები გამოყენებულ იყვეს საჩვენებელ პროცესებათ დაწესებულებებში, ფაბრიკა-ქარხნებში და სოფლებში.

გადაფრენა მოსკოვ-პეკინში

გობის უდაბნოზე

ურგა, 9 ივლისი. აეროპლანი „პრავდა“, რომლითაც მფრინავს „როსტას“ კორესპონდენტი, გაფრინდა ურგადან დილის 4 საათზე და 44 წუთზე. ურგას აეროდრომიდან აფრენა ძალიან ძნელი იყო, რადგან აეროდრომი ძალიან პატარაა და გარშემო შემოფარგლულია მთებით. ზღვის ზედაპირიდან იგი დაშორებულია 1200 მეტრით. მფრინავმა პოლიაკოვმა მოახერხა დაუბრკოლებლად აფრენა. აეროპლანი რამდენიმე საათია მიფრინავს გობის უდაბნოზე. ამ ხნის განმავლობაში ოთხჯერ დაიწყო წვიმა. გზის უდიდესი მანძილი უდაბნოზე უკვე განვლილია. მფრინავი ფიქრობს დღესვე გაიაროს გზის მეორე ნახევარიც.

ქობულეთის კურორტის აღსადგენათ

მოსკოვი, 8 ივლისი. ამიერ-კავკასიის წარმომადგენლობამ მოსკოვში აღძრა საკავშირო მთავრობის წინაშე შუამდგომლობა 50.000 მანეთის გადადების შესახებ ქობულეთის კურორტის აღსადგენათ.

ეკონომიური ცხოვრება

ფართლეულობის ბაზრის მდგომარეობა

(1-ლ ივლისისათვის)

ფართლეულობის მთავარი გამყიდველია თბილისში და პროვინციაში საკავშირო საფეიქრო სინდიკატის თბილისის განყოფილება. ფასები ფართლეულობის ბაზარზე წესდება ამ განყოფილების ფასების მიხედვით. ამიტომ ფართლეულობის ბაზრის დასახასიათებლად საკმარისია მოვიყვანოთ ცნობები, რომლებიც შეეხება საფეიქრო სინდიკატის თბილისის განყოფილების მუშაობას.

თბილისის რაიონის ფართლეულობის ბაზარი ივნისის მეორე ნახევარში გაცხოველებული იყო როგორც საჩითუმო, ისე საწვრიმალო ვაჭრობაში. აბრეშუმის მოსავალის გაყიდვის გამო მოსახლეობას ჰქონდა შემოსავალი, რომლითაც, უმთავრესად, იძენს საფეიქრო ნაწარმოებებს.

დიდი მოთხოვნილებაა ბამბის ქსოვილებზე, განსაკუთრებით ტანსაცმელების და საცვლების ქსოვილებზე. გასული პერიოდის განმავლობაში საფეიქრო სინდიკატმა ვერ შესძლო საცვლების ქსოვილების მყიდველთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. მყიდველთა დანარჩენი ჯგუფებისათვის საჭირო ქსოვილები საკმაო რაოდენობით მოიპოვება განყოფილებაში.

საზაფხულო ქსოვილები აინტერესებს, უმთავრესად, ქალაქის მყიდველებს, პროვინციალურ ორგანიზაციებს არ მიაქვთ ისინი. ივნისის განმავლობაში განყოფილებამ მოსკოვიდან მიიღო 1.434 ნაჭერი ბამბის ქსოვილი, რაც ვერ დააკმაყოფილებს თბილისის ბაზრის მოთხოვნილებებს.

საგრძნობია საცვლების ქსოვილების და რუსული ნარმის ნაკლებობა; მიღებულია და იყიდება საიმპორტო ნარმი. სუსტი მოთხოვნილებაა მაუდზე და აბრეშუმის ქსოვილებზე. ხალისით ყიდულობენ საკოსტიუმე ქსოვილებს.

საწვრიმალო ვაჭრობა მეტად გაცხოველებულია, საფეიქრო სინდიკატის თბილისის განყოფილების ორივე მაღაზიას აურაცხელი ხალხი აწყდება.

კერძო ბაზარი კარგათ ვაჭრობს; კერძო ვაჭრები საქონელს იღებენ მოსკოვიდან, მაგრამ ეხლა უფრო ნაკლები რაოდენობით, ვიდრე წინა თვეებში იყო; საქონლის მეტი წილი მათ მიაქვთ სინდიკატის თბილისის განყოფილებიდან.

სახელმწიფო ორგანოების, კოოპერატივების და კერძო საფეიქროების ფასები ეხლა უფრო მტკიცეა და ადგილი აქვს ხშირ რყევას.

განყოფილების კლიენტურა უმთავრესათ შესდგება კოოპერატიული ორგანიზაციებისაგან; გაძლიერდა საქონლის მიცემა კერძო ვაჭრებისათვის. სახელმწიფო ორგანოები ეხლა უფრო ნაკლებ რაოდენობით ყიდულობენ საქონელს, ვიდრე წინეთ იყო.

ივლისში მოსალოდნელია ფართლეულობის ბაზრის კიდევ უფრო გაცხოველება.

პარიტეტულ კონტრ-რევოლიუციის გასამართლება

პარიტეტულ კონტრ-რევოლიუციის მუშაობა

ბანდიტური ორგანიზაციების მოწყობა

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლის საქმეში პარიტეტულ კომიტეტში გაერთიანებული ანტისაბჭოთა პარტიები არაფერს არ ერიდებოდენ. 1922 წლის დასაწყისიდან მათ ხელი მიჰყვეს პოლიტიკური ბანდების ორგანიზაციას, რომელთა საშუალებითაც ფიქრობდენ აჯანყების მოწყობას.

ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ცეკას წევრის დავით ვაჩნაძის დავალებით ასეთი ბანდის მოწყობა დავალებული ჰქონდა მეფის მთავრობის ყოფილ ოფიცერს ქაქუცა ჩოლოყაშვილს, რომელიც გაემგზავრა კახეთში და შეუდგა ბანდიტური რაზმების შედგენას.

ამ ბანდას შემდეგ შეუერთდა **გიორგი გვერდწითელის** ბანდა, რომელიც თბილისიდან გაგზავნილი იყო პარიტეტულ კომიტეტთან არსებულ სამხედრო ცენტრის წევრის **ვარდენ წულუკიძის** დავალებით.

ამას გარდა პარიტეტულმა კომიტეტმა კავშირი დაიჭირა **კახრაძის** და **ლაშქარაშვილის** ბანდებთან, რომლებიც მოქმედობდენ გორის და დუშეთის მაზრებში.

დასავლეთ საქართველოში პარიტეტულ კომიტეტს კავშირი ჰქონდა **ღლონტის** და **[illegible]** ბანდებთან, რომლებიც ოზურგეთის მაზრაში მოქმედობდენ.

ამას გარდა პარიტეტული კომიტეტის რწმუნებულებს **ოთარ დადიანს** და **ნესტორ გარდაფხაძეს** დავალებული ჰქონდათ ბანდების შექმნა სამეგრელოში და სვანეთში.

ყველა ამ ბანდებს პარიტეტული კომიტეტი აწვდიდა იარაღს, ფულს და ტანისამოს.

პოლიტიკურ მკვლელობებთან და ექსპროპრიაციებთან ერთად ეს ბანდები მოსვენებას არ აძლევდენ მშვიდობიან მცხოვრებლებს; სძარცვავდენ მატარებლებს, ეტლებს, მშვიდობიან მგზავრებს და ზოგიერთ შემთხვევებში კლავდენ კიდეც მათ.

ამ ბანდების გარდა პარიტეტულ კომიტეტთან არსებობდა ტერორისტთა სპეციალური ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა აგვისტოს გამოსვლების დროს დახვრეტილი **მიხეილ კოლუაშვილი.**

ამ ჯგუფს დანიშნულება იყო მენშევიკურ და ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიებიდან გამოსული პირების მოკვლა.

მიხეილ კოლუაშვილის მიერ სხვადასხვა პირების დახმარებით მოკლული იქნა: **კოლე მიხაბიშვილი, შალვა კვალიაშვილი, ილარიონ გორგაძე, ვანო ქაიხოსროშვილი** და სხვები, რომლებმაც შეგნებულათ დაგმეს ანტისაბჭოთა პარტიების ავანტიურისტული პოლიტიკა.

ტერორისტულ ჯგუფს დავალებებს აძლევდენ პარიტეტული კომიტეტის წევრები **გოგიტა ფაღავა** და **წინამძღვრიშვილი.**

მენშევიკური პარტიის ცეკას 1922 წელში განზრახული ჰქონდა სოხუმში მოეკლა ამხ. ძერჟინსკი მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ეს ტერორისტული აქტი სისრულეში არ იქნა მოყვანილი. სხვათა შორის, გადაწყვეტილი იყო ხუთი ტერორისტის გაგზავნა თბილისიდან ამხ. ძერჟინსკის მოსაკლავად.

საზღვარგარეთიდან მიღებული დირექტივების თანახმად, ბანდებს დავალებული ჰქონდათ რკინის გზის ლიანდაგის აყრა, ხიდების აფეთქება, ბანკების გაძარცვა და სხვა და ამ გზით არეულობის გამოწვევა საქართველოში, რასაც შემდეგ ყურადღებას მიაქცევდენ ევროპის სახელმწიფოების მთავრობები და ჩაერევოდენ საქართველოს საქმეებში.

ტერორის საკითხი ანტისაბჭოთა პარტიებში დაისვა აგრეთვე აგვისტოს გამოსვლების წინ; მაშინ მიღებული იქნა დადგენილება ტერორისათვის მიემართათ იმ შემთხვევაში, თუ აჯანყება არ მოხერხდებოდა.

დამახასიათებელია ის, რომ ბანდებთან დამოკიდებულების საკითხში მენშევიკებსა და ნაციონალ-დე რატებს შორის [illegible] უთანხმოება [illegible] ეს ბანდები: [illegible] პირველ ხანებში ემორჩილებოდ ციონალ-დემოკრატიული პარ ცეკას, **კახრაძის და ღლონტის** დები კი — მენშევიკებს. შემდეგ პარიტეტულმა კომიტეტმა შე ყველა ბანდების გაერთიანება ვისი მფარველობის ქვეშ და უკვე ემორჩილებოდენ პარიტე კომიტეტის დირექტივებს

ბრალდებულე

იმნაიშვილი ნიკიფორე ბესა

35 წლის. ქ. ლანჩხუთიდან. გოგი უმაღლესი განათლებით. ვიკურ პარტიის წევრი 1904 წ 1920 წლიდან „სხიველთა“ ცეკა რი. ყოფ. პარლამენტის და და ნებელ კრების ყოფ. დეპუტატ

ისაანჯია ლავრენტი (ვანო) სილის-ძე

24 წლის, სენაკის მაზრიდან. ბალი განათლებით. ცოლიანი. მ ვიკურ პარტიის წევრი 1904 წ ცხოვრობდა არალეგალურათ.

პროფკავშირებში

საბჭოთა მუშაკების კავშირის მესამე პლენუმი

7 ივლისს საღამოს 7 საათზე გაიხსნა საქართველოს საბჭოთა მუშაკების კავშირის მესამე პლენუმი, რომელზედაც კავშირის ც. გ. მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მინასმა. კავშირის მუშაობაში, ამბობს ამხ. მინასი, უნდა აღინიშნოს საკავშირო მუშაობის გაღრმავება და კავშირის წევრების რიცხვის გადიდება 19.315 კაციდან 19.636 კაცამდე.

უმთავრესი ყურადღება ჰქონდა მიქცეული ცენტრის დაახლოვებას მაზრკავშირებთან და მათ პერიფერიებთან. ამ მიზნით მეორე კვარტალის განმავლობაში დათვალიერებული იქნა 3 მაზრგანყოფილება და 6 რაიადგილკომი. უფრო დაწვრილებით იქნა დათვალიერებული დაშორებულ და მივარდნილ კუთხეებში არსებული პატარა პროფუჯრედები. ამ პერიფერიებში არავითარი კულტმუშაობა არ სწარმოებს, მუშაკები გაცნობილი არ არიან საკავშირო მუშაობის მთავარ მომენტებთან და არც ახლო დამოკიდებულება აქვთ კავშირის ჩვეულებრივ წევრებთან.

ამავე კვარტალში მოხდა კავშირის წევრების ხელ-ახალი აღრიცხვა რესპუბლიკანური მასშტაბით“.

გაიმართა საკავშირო — ფულების გამფლანგველთა საჩვენებელი გასამართლება, ფულების გაფლანგვის აღმოფხვრის მიზნით დაარსდა პასუხისმგებელ ხაზინადართა ინსტიტუტი და მიღებულ იქნა კიდევ სხვა ზომები.

ხელფასის საკითხში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა: სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა ხელფასი უცვლელი დარჩა.

კავშირის სატარიფო-საეკონომიო განყოფილების მუშაობის ერთ-ერთი ხელის შემშლელი მიზეზი იყო ც. გ. შტატის სიმცირე.

გაფართოებული იქნა ეკონომიური კომისიების და ეკონომიური თათბირების მუშაობა. დაწესებულებათა ადმინისტრაცია სისტემატიურათ იძლეოდა ანგარიშს თავისი მოქმედების შესახებ.

გასულ ივნისში მოწვეული იყო ეკონომკომისიების საქალაქო კონფერენცია მ | გ. ინსპექციის და ს. პ. კ. ს. წარმომადგენლების თანადასწრებით.

მ | გ ინსპექციასთან მუდმივი და მჭიდრო კავშირი იყო დამყარებული კავშირის სატარიფო - საეკონომიო განყოფილება მონაწილეობას და საშტატო კომისიების მუშაო მოწვეული იყო საანგარიშო დ მუშაკების საერთო კრება, კავშ ც. კ. თავმჯდომარის — ამხ. ან კინის მონაწილეობით, რომელზე არჩეული იქნა საანგარიშო და მომუშავეთა გაერთიანების გეობა და სარევიზიო კომ

შემუშავებული იქნა კავშირის წ რების დასასვენებელ სახლებში სანატორიუმებში გაგზავნის გ და წესი.

კულტურული მუშაობის ცენტ კავშირის კლუბი. საანგარიშო დრ განმავლობაში გაიმართა 3 ლექ წრეებმა გამართეს 6 წარმოდ ქართულ ენაზე, 5 რუსულზე, 2 ხურზე და ორი უკრაინულზე. ლ ტკულტმა გამართა 2 რუს და ორი ქართული წარმოდგენა. მართა აგრეთვე 5 კონცერტი, 4 ბავშო საღამო და 3 წარმოდგენ

ბიბლიოთეკის ხელისმომწე რიცხვი 1 ივლისისათვის იყო 43 საკითხველოთი ისარგებლა ამ ტალში 2.623 კაცმა, ე. ი. სა ლოდ დღეში 60 კაცმა. გამო კედლის გაზეთის 1 ნომერი, მ ბულია ზომები მეორე ნომრის ვა საცემად.

სალიტერატურო წრე ბეჯი მუშაობს. კლუბით ისარგებლა 5 კაცმა. კლუბის შედარებით ს მუშაობა აიხსნება თანამშრომლ არამიზანშეწონილი შერჩევით.

მიწის საკითხები

მიწის საკითხი საერთოდ ყოველთვის ითვლებოდა არა თუ ყველაზე უფრო მწვავე, არამედ ყველაზე უფრო რთულ საკითხად. ასეთსავე მდგომარეობაში დარჩა ეს საკითხი საბჭოთა ხელისუფლების დროსაც. ბევრ გულუბრყვილოთ მართლაც ეგონათ, რომ მიწის საკითხის გადაჭრა ერთი დაკვრით ან ერთი კალმის მოსმით შეიძლებოდა.

მართალია, საბჭოთა ხელისუფლებამ გადაჭრა ამ საკითხის ერთი მხარე, თუმცა ყველაზე უფრო საყურადღებო. ყველაზე უფრო არსებითი მხარე, ჩვენ ვამბობთ მიწის ნაციონალიზაციაზე, ე. ი. მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობაზე. ამნაირად საბჭოთა ტერიტორიაზე მიწა გამოცხადდა მუშების და გლეხების სახელმწიფოს კუთვნილებად.

ამ აქტით ისპობა მიწის ყიდვა-გაყიდვა, მიწით ვაჭრობა-ალებმიცემობა, ანუ სპეკულიაცია. მშრომელს ენიჭება მიწით სარგებლობის უფლება. ეს დებულება საბჭოთა წესწყობილებისთვის ყოვლად უდავო და ურყეველია. ისე რომ მასში რაიმე ცვლილების, შესწორების ან კორექტივის შეტანა ყოვლად შეუძლებელია და დაუშვებელი. და თუ ჩვენ აქ კვლავ დაგვჭირდა ამ დებულებაზე მითითება, ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ამ უკანასკნელ დროს მიწის შესახებ ადგილი აქვს ზოგიერთ შემთხვევაში ისეთ განზრახვას და ისეთ ახსნა-განმარტებას, რომლებიც საფრთხეში აყენებენ მიწის ნაციონალიზაციის პრინციპს და რომლებიც შესაძლებლად ჰხდიან ფაქტიურად მიწის ყიდვა-გაყიდვის დაკანონებას, რაც თანახმად ჩვენი მიწის კოდექსის 26 მუხლისა, კატეგორიულად აკრძალულია.

რათ ხდება ეს? რაში მდგომარეობს ამის მთავარი მიზეზი? რომ ეს მიზეზი ანუ მიზეზები უფრო ადვილად გავიგოთ, მე მოვიყვან აქ შემდეგ შემთხვევას. დაახლოებით ამ ერთი თვის წინად გაზ. „კომუნისტში“ (№ 123), იურიდიულ რჩევა-დარიგების განყოფილებაში მოთავსებული იყო ახსნა-განმარტება მიწის შესახებ ერთი შეკითხვის გამო. მე საჭიროდ მიმაჩნია საქმის გამოსარკვევად, როგორც ეს შეკითხვა, ისე ამ შეკითხვაზე პასუხი მოვიყვანო აქ სიტყვა-სიტყვით.

„მაქვს თუ არა უფლება ლიკვიდაცია უყო ქონებას და გადმოვსახლდე ქალაქში.

კითხვა:

მე ვცხოვრობ სოფ. სუჩხეში (სენაკის მაზრა). ვარ ქვრივი. მე გარდამეცვალა შვილიც და ოჯახში დავრჩი უმუშევრად 60 წლის მოხუცებული, რის გამო იძულებული ვარ გადავსახლდე ქალაქ თბილისში ჩემს უფროს შვილთან (რკინის გზის მუშაა); მას ჰყავს ხუთი სული შესანახი, ჯამაგირს იღებს მეხუთე ხარისხით — 22 მანეთს; მაქვს საკუთრება: ეზო შემოღობილი ღობით, სადაც სდგას ერთი ოდა თავის ზედლით და სამეურნეო მოწყობილობით; მოშენებულია ვენახი და ნამყენი ხეხილი და საკუთარ შრომით გაშენებული თხმელის ტყე.

ამ სახლკარის მიდამოების (თავის ნაშენით) სივრცე შეადგენს 3 ქცევას; ამას გარდა კიდევ მაქვს გაცალკევებულად სახნავ-სათესი მიწა, დამუშავებული საკუთარი შრომით.

მევაჭრება ამავე სოფლის გლეხი, რომელიც სცხოვრობს ამავე სოფელში უვარგის ხრიოკ ალაგას; ვინაიდან მე ვარ გაჭირვებული და მამულის მოვლა არ შემიძლია, მინდა მივყიდო მამული ზემოაღნიშნულ გლეხს და ლიკვიდაცია უყო ჩემს ქონებას და გადმოვსახლდე ქალაქში შვილთან.

ადგილობრივი აღმასკომის თავმჯდომარე არ მაძლევს გაყიდვის უფლებას და ყოველმხრივ ხელს მიშლის.

გთხოვთ მიპასუხოთ, მაქვს თუ არა უფლება ლიკვიდაცია უყო ჩემს ქონებას (გავყიდო სურვილისამებრ) და გადმოვსახლდე ქალაქში.

მიწის მუშის ქვრივი ქრისტინე სალარიშვილი“.

როგორც ხედავთ, ეს ნამდვილი ტიპიური შემთხვევაა. ასეთი მაგალითები ჩვენ ცხოვრებაში მრავალია. კითხვა ნათლად და აშკარად არის დაყენებული. შემკითხველი თხოულობს მიწის გაყიდვის უფლების მინიჭებას; არც მეტი არც ნაკლები. ეს კი დაუშვებელია ჩვენი მიწის კოდექსის ძალით. როგორ პასუხს აძლევს მას „კომუნისტის“ — იურისტი. მოგვყავს აქ ეს პასუხიც სიტყვა-სიტყვით.

პასუხი.

„მიწა-წყალი და ტყე შეადგენს რესპუბლიკის საკუთრებას. ამიტომ მათზე მოსპობილია კერძო საკუთრებრივი უფლებები. მათი (მიწა-წყლის და ტყის) გაყიდვა აკრძალულია — და ამაში დამნაშავენი დაისჯებიან სისხლის სამართლის კოდექსის ძალით (ჩამოერთმევათ აგრეთვე გაყიდული მიწა-წყალი). სხვა ქონების (სახლის და სხვა ნაშენის, შენობების, ვენახის, ბოსტნის, მცენარის, ბაღის და ნათესის) გაყიდვის უფლება თქვენ გაქვთ, ვინაიდან ყველა ეს გეკუთვნით თქვენ (იხ. მიწის კოდექსის მუხ. 23).

გაქვთ უფლება გადასახლდეთ ქალაქში, მხოლოდ დღიდან თქვენი ქალაქში გადასახლებისა სამი წლის განმავლობაში თქვენ უნდა მოახდინოთ ძველ ბინადრობაზე თქვენი ქონების (შენობების, ნაშენის ბაღ-ბოსტნის და მიწაში შეტანილი გაუმჯობესებისა) სრული ლიკვიდაცია. (იხ. მიწ. კოდექსი მუხ. 170).“

ამ პასუხში ყველაფერი არეულია. სახლი, შენობა, ბაღი, ვენახი, მცენარე — ყველა ერთ კალათაშია მოთავსებული. ამავე დროს, თუმცა ერთი მხრით პასუხის ავტორი აცხადებს, რომ მიწის და ტყის გაყიდვა აკრძალულია, მაგრამ მეორე მხრით მისი პასუხი ფაქტიურად აკანონებს სწორედ მიწის გაყიდვას. აბა ერთი დაფიქრდით იმაზე, თუ როგორ შეიძლება ვენახის და ბაღის გაყიდვა სინამდვილეში? განა ეს არ ნიშნავს არსებითად მიწის გაყიდვას? რომ ავიღოთ მარტო საქართველო, შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ერთი მესამედი ნაწილი მაინც ყველა დამუშავებული მიწებისა შეიცავს აქ ვენახებს, ან ბაღებს. თუ დავეთანხმეთ ზევით დასახელებულ პასუხის ავტორს, გამოდის, რომ ჩვენ უნდა დავუშვათ ყველა ამ მიწების ყიდვა-გაყიდვა. ისე კულტურულ სასოფლო მეურნეობას ჩვენ ვერ წავსწევთ წინ, ვერ ავაყვავებთო. მაგრამ თუ ჩვენ დავეთანხმებით ზემოთ მოყვანილ „პასუხის ავტორს და გავყვებით მის ლოღიკას, ჩვენ ეს ლოღიკა აუცილებლად მიგვიყვანს იმ დასკვნამდე, რომ საერთოდ უნდა დავუშვათ მიწის ყიდვა-გაყიდვა, ე. ი. გავაუქმოთ მიწის ნაციონალიზაცია, რაც ნიშნავს ოქტომბრის დიდი რევოლიუციის ერთი უდიდესი მონაპოვარის გაუქმებას. აშკარაა, რომ ამას ჩვენ ვერ დავუშვებთ. მაგრამ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს კი მიწის ყიდვა-გაყიდვის დაკანონება სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის?

ზემოთ მოყვანილ ახსნა-განმარტებას მე თავის დროზე მივაქციე სათანადო ყურადღება და მოვითხოვე ვისგანაც ჯერ იყო, თუ რაზე ეყრდნობოდა ხსენებული ახსნა-განმარტების ავტორი, როცა იგი ასეთ პასუხს იძლეოდა. გამოირკვა, რომ ავტორი ემყარებოდა ერთი მხრით ჩვენი მიწის კოდექსის 23 მუხლზე და მეორე მხრით მიწათმოქმედების ზოგიერთ სპეციალისტების განმარტებაზე, რომლებიც მათი აზრით თითქო ლოღიკურად გამომდინარეობენ მიწის კოდექსის დასახელებული მუხლიდან. რას ამბობს ეს მუხლი? იქ ჩვენ ვკითხულობთ: „ყველა ნაგებობა (сооружения), შენობა, ნათესი, მცენარე და, საერთოდ, ყველაფერი, რაც დაკავშირებულია მიწის ნაკვეთთან და რაც მიწის მუშის სარგებლობაშია, ეკუთვნის მას“. უნდა აღინიშნოთ აქ, რომ ეს მუხლი სიტყვა-სიტყვით ნათარგმნია რუსეთის მიწის კოდექსიდან.

უნდა ითქვას, რომ ეს მუხლი როგორც ქართული, ისე რუსული კოდექსში მეტად ბუნდოვანია და მას შეუძლია გამოიწვიოს მრავალგვარი გაუგებრობა. მაგრამ ჩემის აზრით, რამდენადაც ეს მუხლი არ უნდა იყოს ბუნდოვანი, ყოველ შემთხვევაში იქიდან ყოვლად შეუძლებელია იმ დასკვნის გამოყვანა, რომ ჩვენი მიწის კოდექსის ძალით ვითომც შეიძლებოდეს ვენახის ან ბაღის გაყიდვა ან ყიდვა. როცა ხსენებულ ამხანაგებს მე ასე დავუყენე საკითხი, იმათ თავის მხრით სცადეს დაეცვათ თავისი დასკვნები შემდეგი მოსაზრებებით: 1. ამ საკითხს აყენებს დღეს თვით ცხოვრება და ჩვენ იძულებული ვართ მას ანგარიში გაუწიოთ; 2. თუ მიწის მოსარგებლეთ ჩვენ არ მივეცით ვენახის, ბაღების და საზოგადოთ ძვირფას მცენარეების პლანტაციების ყიდვა-გაყიდვის უფლება, ისე შეუძლებელი შეიქმნება ჩვენში სასოფლო მეურნეობის განვითარება; და 3. ასეთი დათმობა უკვე დაუშვებელია რუსეთის საზღვრებში მაგ., გერმანელების რესპუბლიკაშიო. ყველა ეს მოსაზრებები რამდენიმედ განმეორებული იქნენ შემდეგ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლების მხრით სოფლის საკითხების გასარჩევად მოწვეულ თათბირზე, როცა მიწით იჯარით გაცემის ვადაზე იყო მსჯელობა. ამიტომ ჩვენ სავალდებულოთ მიგვაჩნია მოკლეთ უპასუხოთ ამ მოსაზრებებზე.

უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ მიწის ყიდვა-გაყიდვა სოფლად ხდება, რა თქმა უნდა, საიდუმლოდ. ამ მოვლენის აღმოფხვრა ერთბაშად არ შეიძლება. მაგრამ ამ საბუთის ძალით შეგვიძლია თუ არა ჩვენ დავაკანონოთ მიწის ყიდვა-გაყიდვა? არა. ჩვენ ეს არ შეგვიძლია და არც გვაქვს ამის უფლება. ამის დაშვება იქნებოდა კვლავ დიდძალი მიწების მოგროვება ზოგიერთების ხელში და უმიწაწყლო გლეხების ახალი კადრის გაჩენა. მართალია, ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ ცხოვრების მოთხოვნილებებს მაგრამ ეს სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ წვრილ-ბურჟუაზიულ სტიქიას სავსებით დავემორჩილოთ და მისი მაჩანჩალა შევიქნეთ. რომ ამ სფეროში ჩვენ დღეს მძლავრად გვაწვება წვრილ-ბურჟუაზიული სტიქია — ეს უეჭველია, მაგრამ განა ჩვენ გულზე ხელები უნდა დავიკრიფოთ და დავიჩოქოთ მის წინაშე? არავითარ შემთხვევაში. პირიქით, ჩვენ უნდა ვაწარმოვოთ სტიქიის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლა მის დასაძლევად, რა თქმა უნდა გონივრული ეკონომიურ ზომების საშუალებით. ასეთი ზომები უკვე არსებობენ, და ჩვენ ისინი უნდა გამოვიყენოთ. რაც შეეხება მეორე მოსაზრებას, უნდა განვაცხადოთ, რომ სასოფლო მეურნეობაში ინტენსიური მეურნეობის განვითარებას ხელს უშლის არა მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვა, არამედ სულ სხვა გარემოებები, რომელთა შორის მე დავასახელებ აქ უმთავრესად სამს:

1. მიწების უთავბოლოდ, უსისტემოდ დაუსრულებელი ჩამორთმევა და შემდეგ აქ მიწების უკანონოდ მითვისება. ეს მოვლენა დღემდისაც გრძელდება. ამ ვაკხანალიას ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს; 2. მიწის მოუწყობლობა თანახმად ახალი კოდექსისა. მიწის მოსარგებლემა არც კი იციან, დარჩება იმათ სარგებლობაში ის ნორმა, რომელიც მათ ამჟამად დატოვებული აქვთ, თუ არა. ამიტომ ჩვენი ამოცანაა არა მიწის ყიდვა-გაყიდვის დაშვება, არამედ მიწის მოწყობის საქმის დაჩქარება. ეს უთუოდ მისცემს დიდ იმპულსს სასოფლო მეურნეობის განვითარებას და 3. სასოფლო მეურნეობის ნაწარმოების **საქონლიანობის განვითარება** ამ ნაწარმოებისთვის ბაზრის მოპოვებით. ვინ არ იცის, რომ ეს საქონლიანობა დღეს დაცემულია, როცა ჩვენი მეურნეობის ნაწარმოებს (თამბაქოს, ჩაის, ღვინის, ხეხილის და სხვ), ბაზარი არა აქვს და ამიტომ ყოველივე ეს ან ჩალის ფასად იყიდება და ან სრულიად ფუჭდება და იკარგება. ყველა ამ ნაწარმოების მოყვანა, კულტურა, ჩვენში ერთი გაიზრდებოდა, თუ რომ იმათ უზრუნველყოფილი ყოფილიყო საყრელ პირობებში გასაღება რისთვის უნდა ვიზრუნოთ დღეს. მიწის ყიდვა-გაყიდვის ძალვა აქ სრულებით არაფერ შია.

ბოლოს მესამე საბუთი, რომ ქოს მიწის კოდექსში იყოს ტენ ცია მიწის ყიდვა-გაყიდვის და ვებლად. ეს მოსაზრება ყოვლად ფუძლოა, ვინაიდან იქ ასეთ დენციას ადგილი არა აქვს.

ასეთია მიწის საკითხის ვითარ ყიდვა-გაყიდვის მხრით. აშკა რომ წვრილბურჟუაზიული სტ ამ სფეროში განსაკუთრებით გვა ბა და ღამობს მუშათა კლასის თი უდიდესი გამარჯვების გასა წყლებლად. მაგრამ მეორე მხ ისიც აშკარაა, რომ აქ მუშურ ჩვენ მთელი ენერგიით, გადაწყვეტ უნდა შევებრძოლოთ და არ მივს საშუალება, რომ მან ჩვენ გაძ დეს, იცოდეს ყველამ, რომ მი კერძო საკუთრების მოსპობა ნონებულია საბოლოოდ და ვლად და ეს კანონი უცვლელად და გატარდეს ცხოვრებაში. ეს როდი ნიშნავს რომ მიწის საკით ირგვლივ ჩვენ არ გვიდგა წინ დასაჭრელად და კიდევ სხვა მრა ვალი არსებითად უფრო წვრილმ საკითხები. მრავალი ამ საკითხებ დან მეტად ძნელი გადასაჭრელ მაგრამ ჩვენ იმათ ვსწყვეტთ.

ამ საკითხებს მე ვეცდები და ბრუნდე შემდეგ წერილში.

ფ. მახარაძ

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად
ამა წლის 13 ივლისს

გაიხსნება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის

მე-2 სესიის სხდომა.

სესიის დღიური წესრიგი გამოცხადებული იქნება დამატებით.

ს ს. ცაკის მდივანი **ს. თოდრია.**

შაბათს, 11 ივლისს საღამოს 7 საათზე, ს. პ. ქ. ს. დიდ დარბაზში

მოწვეულია

აქტიურ პროფკავშირელ ქალთა საერთო საქალაქო

კონფერენცია

დღის წესრიგში სდგას:

მოხსენება საქართველოს პროფორგანიზაციებში და მრეწველობაში ქალთა მდგომარეობის შესახებ.

კონფერენციაზე უნდა დაესწრონ:

კავშირების ც. გ., ფაბქარხადგილკომებში, ყველა კომისიებში (შემფასებელ საკონფლიქტო კულტურულ, შრომის დაცვის და სხვ. კომისიებში საწარმოო თათბირებში და სხვ. მომუშავე ქალები რომლებიც არჩეული არიან და პროფორგანიზაციებში რაიმე არჩევითი თანამდებობა უჭირავს.

კავშირების ყველა ცენტრალური გამგეობებს ევალებათ ამის შესახებ შეატყობინონ აქტიურად მომუშავე პროფკავშირელ ქალებს.

ს. პ. ქ. ს. საორგ. განყ. გამგ. მოადგილე მ. მარკმან.

პარტიული ცხოვრება

ერთი მტკივნეული საკითხი

საკითხი პარტია და კომკავშირის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ სოფლად დღეს ერთი მთავარი საჭირბოროტო საკითხთაგანია.

ჩვენი პარტკორები ადგილებიდან იწუწუნებიან, რომ კომუჯრედები კომკავშირის უჯრედებს ვერ უწევენ სათანადო ხელმძღვანელობას, რომ ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც პარტიულ და კომკავშირის ორგანიზაციებს შორის არავითარი კავშირი არ არსებობს და სხვ.

რას გვეუბნება ჩვენ ეს გარემოება?

იმას, რომ პარტიას აქა-იქ არა აქვს გავლენა კომკავშირზე, რომ კომკავშირი თავისი მხრივ მოკლებულია პარტიულ ორგანიზაციების იდეურ-პოლიტიკურ ხელმძღვანელობას და ამდენადვე საქმე გვაქვს უთუოდ არანორმალურ მოვლენასთან. და ეს იმ დროს, როდესაც ჩვენ მიერ გადმოსროლილია ლოზუნგი: „პირი სოფლისაკენ“, როდესაც მთელი ჩვენი ძალ-ღონე მიმართული უნდა იქნეს სოფლის კულტურულ-ეკონომიურ ცხოვრების აღორძინებისაკენ და საერთოდ, როდესაც სოფლად დასახულ ამოცანების ცხოვრებაში გასატარებლად აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს პარტიის და კომკავშირის შორის მჭიდრო, მტკიცე კავშირის არსებობა. კომკავშირი ეს ხომ პირველი თანაშემწე და დამხმარეა პარტიისა სოფლად!

როგორ ზომებს უნდა მივმართოთ, რომ აღვადგინოთ ნორმალური ურთიერთობა პარტიას და კომკავშირის შორის?

პირველი ეს არის ის, რომ კომუჯრედის წარმომადგენლები სისტემატიურად უნდა ესწრებოდნენ კომკავშირის უჯრედის სხდომებს და, პირიქით, კომკავშირის უჯრედის წარმომადგენლები კომუჯრედის სხდომებს. ამასთანავე კომუჯრედის ბიუროები ყოველთვიურად უნდა ისმენდენ კომკავშირის წარმომადგენლებისაგან მოხსენებებს იმის შესახებ, თუ რა გააკეთა კომკავშირმა განსაზღვრულ დროის განმავლობაში და როგორია მისი მომავალი მუშაობის გეგმა.

მეორე და უმთავრესი ეს ის არის, რომ პარტია უნდა დაეხმაროს კომკავშირს ბოლშევიკურად აღზრდაში. როდესაც ამ მხრივ სოფლად ჩვენ გვექნება საგრძნობ მიღწევებთან საქმე, მაშინ კომკავშირი კიდევ უფრო მეტის ენერგიულობით გაატარებს პარტიულ ხაზს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში.

მესამე ეს ის არის, რომ კომკავშირის ბოლშევიკური აღზრდით კომკავშირის რიგებში უნდა გავზარდოთ აგრეთვე პარტიული კადრი, რადგან პარტიული ხელმძღვანელობის ძირითადი ფორმა—ეს პარტიული კადრია კომკავშირში.

აი ასეთი ღონისძიებების გატარებით ჩვენ შევსძლებთ სასურველად გადავჭრათ საკითხი სოფლად პარტიულ და კომკავშირის მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულების დამყარების შესახებ.

ანი.

კომკავშირის მორიგი ამოცანები

ამ რამოდენიმე დღის წინად დაამთავრა მუშაობა საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათა გამგეების თათბირმა, რომლის დღის წესრიგში იდგა მეტად მნიშვნელოვანი საკითხები. ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი, რომელმაც მიიპყრო თათბირის ყურადღება, იყო სოფლის ინტელიგენციასთან დამოკიდებულების საკითხი.

რა სთქვა თათბირმა ამ საკითხის შესახებ?

„სოფლის ინტელიგენციის მიმართ ჩვენ გვმართებს განსაკუთრებული სიფრთხილე. არც ერთს წუთს არ უნდა დაგვავიწყდეს ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც აქვს საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის და აღმშენებლობისათვის სოფლად—სოფლის ინტელიგენციას. ჩვენი დღევანდელი კურსი—პირით მიბრუნება სოფლად— სხვათაშორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად უნდა ისახავდეს პირი სოფლის ინტელიგენციისადმი“. ეს ამონაწერი თათბირის მიერ სოფლის ინტელიგენციის გარშემო მიღებულ თეზისებიდან თითქმის ყველაფერს ლაპარაკობს. მხოლოდ აქ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვათ იმ გარემოებას, რომ სოფლის ინტელიგენციის როლი ჩვენი ქვეყნის კულტურულ აღორძინების ფრონტზე მეტად მნიშვნელოვანია.

ამ შემთხვევაში კომკავშირის მორიგ ამოცანას შეადგენს, რომ მან კარგად შეითვისოს ეს მნიშვნელობა და სოფლის ინტელიგენციასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული აქტიურად ჩაებას სოციალისტურ აღმშენებლობის საერთო საქმეში—სოფლის ინტელიგენციისადმი დამოკიდებულებაში სამხედრო კომუნიზმის ნაშთების აღმოფხვრა, ყოველგვარი მბრძანებლობის და უდიერი მოქცევის მოსპობა და მომავალში ამხანაგური შეთანხმებული თანამშრომლობა—აი ის ლოზუნგი, რომელიც, ყოველ მიზეზს გარეშე უნდა გავატაროთ ცხოვრებაში, აი ის ლოზუნგი, რომელიც მუდამ უნდა ახსოვდეს თვითეულ კომკავშირელს ყოველდღიურ-პრაქტიკული მუშაობის დროს, რადგან დღევანდელ პირობებში არაფრად ვარგა ის სოფლის კომკავშირელი, ან და კომუნისტი, რომელსაც ვერ გამოუნახავს საერთო ენა ადგილობრივ პატიოსან უპარტიო ინტელიგენტთან.

ცოცხალა.

მე-4 რაიონის უპარტიო მუშა-მოსამსახურეთა კონფერენცია

კამათი მუშკოოპის მოქმედების გარშემო.

მე-3 დღის დილის სხდომაზე მოუნდა კამათს მუშკოოპის მოქმედების გარშემო. ორატორები ეხებოდენ უმთავრესად მუშკოოპის სუსტ მხარეებს, მაგ. ამხ. ლიანოვი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მუშკოოპი იძენს დიდ ძალს მკვდარს—საქონელს, რომელნიც დიდი ხნით უძრავათ აწყვია მუშკოოპის თაროებზეო. ამხ. სოროვი მოითხოვს რომ დამყარდეს მომხმარებელთა და კოოპერაციის შორის ნამდვილ—ცოცხალი კავშირი. ამხ. ვართანოვი აღნიშნავს, რომ მუშკოოპში ჩაწერილი მუშა ხალხის უმრავლესობა ნამდვილად ისევ კერძო ვაჭრებს უვარდებათ ხელში. მუშათა მასების კოოპერაციის გარშემო დასარაზმად საჭიროა პირველი მოხმარების საგნების კრედიტის გადიდება. მთელ რიგ მკამათე ამხანაგებისა მიუთითეს იმ გარემოებაზე, რომ [illegible] და მანუფაქტურის გარდა, პირველი მოხმარების საგნები უფრო ძვირად ფასობს მუშკოოპში, ვიდრე კერძო ვაჭართან.

ამხ. ანინის საპასუხო სიტყვა

ოპონენტებს უპასუხებს მუშკოოპის გამგეობის აქტიური წევრი ამხ. ანინი, რომელიც ვრცელ განმარტებას იძლევა წამოყენებულ საკითხებზე.

კერძო ვაჭრობა ამხ. ანინის სიტყვით მუშკოოპის გავლენით იძულებული ხდება დასწიოს ფასები, მაგ., თუ გასულ წელს მუშკოოპის ფასები 15-20 პროცენტით ნაკლები იყო, ამ ჟამად ეს განსხვავება უდრის 8-10 პრ. ეს აიხსნება მით, რომ მუშკოოპის ხელშია მთელი ვაჭრობის 30 პროც. და კერძო ვაჭარი იძულებული ხდება [illegible] მუშკოო[illegible]

მიწების გაცემა იჯარით

(საუბარი მიწათმოქმედების სახალხო კომისარის მოადგილესთან—ამხ. ი. ქვანიასთან).

საბჭოთა საკავშირო მესამე ყრილობის დადგენილებით, კავშირში შემავალი რესპუბლიკების მიწის კოდექსში შეტანილ უნდა იქნეს ცვლილება სათანადო მუხლებში, რომლის ძალით ნებადართული იქნება ინდივიდუალური და კოლექტიური მეურნეობების მიწების გაცემა იჯარით 12 წლის ვადით.

ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე, თუ რა მნიშვნელობა ექნება ამ ცვლილებას საქართველოს პირობებში, მიწათმოქმედების სახალხო კომისარის მოადგილემ ამხ. **ი. ქვანიამ** განაცხადა შემდეგი:

— საქართველოში არსებული მიწის კოდექსით აქამდი ნებადართული არ ყოფილა მიწების იჯარით გაცემა. ჩვენ არც დაქირავებული შრომით სარგებლობის უფლებას ვაძლევდით გლეხებს, გარდა ქვრივობლებისა და ინვალიდებისა.

ეხლა კი საქართველოს ცაკის მეორე სესიაზე, რომელიც უნდა შესდგეს 13 ივლისს, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ შეტანილია პროექტი, რომელშიაც გათვალისწინებულია მიწების იჯარით გაცემა 12 წლის ვადით, და აგრეთვე დაქირავებული შრომით სარგებლობის უფლების მინიჭება გლეხებისათვის.

ჩვენი პროექტის დამახასიათებელ მხარეს შეადგენს ის, რომ ჩვენ მიწების იჯარით გაცემას და აღებას საფუძვლად უდებთ მიწის ნორმას, ე. ი. გლეხს მიწის იჯარით აღება შეუძლია მხოლოდ მიწის კოდექსით დაწესებულ ნორმის ფარგლებში; ასეთი შეზღუდვა გამოწვეულია იმით, რომ მიწების დიდი რაოდენობა ხელში არ ჩაუვარდეს სოფლის შეძლებულ პირებს.

რუსეთის პროექტით კი ეს გათვალისწინებული არ არის, რადგან იქ მიწები ბევრია და იქ არც მიწის მაღალი ნორმა არ არსებობს. რუსეთში გლეხი ღებულობს იმდენ მიწას, რამდენის დამუშავებასაც შესძლებს თავისი ოჯახის წევრების დახმარებით.

ჩვენში ასეთი შეზღუდვა აუცილებელია, რადგან საქართველოში გლეხები უზრუნველყოფილი არ არიან მიწებით; ჩვენ რომ გლეხები დავაკმაყოფილოთ მიწის კოდექსით დაწესებული ნორმით, ამისათვის საჭირო იქნება კიდევ 415,000 დესეტინა მიწა, რაც ჩვენ არ მოგვეპოვება. თუ ფართედ ვერ დავაყენეთ მელიორაციის საკითხი, რომელიც დღემდი და დღესაც მოიკოჭლებს.

ცნობილია, რომ 1918 წლიდან მუშა-საქონელის რიცხვი საქართველოში შემცირდა 60 პროცენტით. მრავალ გლეხებს მუშა-საქონლის უყოლობის გამო საშუალება არ ჰქონდათ დაემუშავებიათ თავისი მიწები და ისინი იძულებული იყვენ არალეგალურად მიეცათ ისინი იჯარით კულაკებისათვის, რადგან მიწების იჯარით გაცემა კანონით ნებადართული არ იყო.

კულაკები, რასაკვირველია, სარგებლობდენ თავისი მდგომარეობით და ტყავს აძრობდენ გლეხებს.

ზემოაღნიშნულ ცვლილებას დიდი მნიშვნელობა ექნება საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის. ეს მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება იმაში, რომ დაუმუშავებელი არ დარჩება არც ერთი ნაჭერი მიწა, ამით კი გაიზრდება სოფლის მეურნეობის პროდუქცია.

ამას გარდა ეს ცვლილება ხელს შეუწყობს ცალკე გლეხური მეურნეობის აღორძინებას. აქამდი მცირე მიწებიანი გლეხები მიჯაჭვული იყვნენ თავის უმნიშვნელო ნაკვეთებთან. მიწის იჯარით გაცემა მას არ შეეძლო, რადგან ამ შემთხვევაში მას მიწა ეკარგებოდა, მიწის დამუშავება კი მას საკმაო საზრდოს არ აძლევდა.

ეხლა კი გლეხს შეუძლია თავისი მიწა გასცეს იჯარით, თვითონ კი გავიდეს ოჯახის [illegible] სამუშაოზე და სამი-ოთხი წლის შრომით მოპოვებული თანხებით [illegible] ცოცხალი და კვდარი ინვენტარი და დაუბრუნდეს თავის მეურნეობას, რომელსაც ის შემდეგ უფრო ინტენსიურად დაამუშავებს.

მიწების იჯარით გაცემის დროს გლეხებს სრული თავისუფლება ენიჭებათ. მათ თავის მიწებში შეუძლიათ აიღონ როგორც ფული, ისე ჭირნახული. საიჯარო ქირა პროექტით გათვალისწინებული არ არის. ეს გლეხების პირად მოლაპარაკებაზეა დამოკიდებული.

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესები

კომპარტიის და კომკავშირის ყველა რაიკომებს

უმაღლეს სასწავლებლებში და მუშფაკზე ადგილების საერთო რიცხვიდან თბილისსა და მაზრას დაეთმო:

1) მუშფაკებზე (რკინის-გზის გამოკლებით)—100 ადგილი. აქედან 4 სტიპ. მაზრისთვის.

2) სახ. უნივერსიტეტში—100 ადგილი. აქედან: პედაგოგ. ფაკ.—35 სოც.-ეკონ.—15, აგრონომ.—20 პოლიტეხ.—15 და მედიკურზე—15.

3) პოლიტეხ. ინსტიტუტში—80 ადგილი. აქედან: საინჟინროზე—40 სასოფ.-სამეურ.—40

კომპარტიისა და კომკავშირის თბილისის კომიტეტები წინადადებას აძლევენ რაიკომებს: უმაღ. სასწ. და მუშფაკებზე მიღების მსურველთა ყველა განცხადებანი შესაფერ უჯრედებისა და რაიკომების რეკომენდაციებით გადმოგზავნილ უნდა იყვნენ სახალხო განათლების განყოფილებაში, მიმღები კომისიის სახელზე.

განცხადებები მიიღება მხოლოდ 1 აგვისტომდე.

თ. კ. მდივანი—ასრიბეკოვი.

კომკავშირის თ. კ. მდივანი გობეჩია.

მიღების წესები

1925—1926 სამოსწავლო წლის მიღების საერთო ნორმათ დამტკიცებულია: სახ. უნივერსიტეტში —45. ადგ. (სოც -ეკ. ფაკ-ზე—75 პედაგოგიურზე—150. სასოფ.-სამეურ.—100 მედიკ.—75. პოლიტეხ.—75.)

ლენინის სახელობის პოლიტეხ. ინსტიტუტში—150 ადგილი. (საინჟინროზე—75. სასოფ.-სამეურ.—75.)

ადგილები დანაწილებულია შემდეგნაირად: ს. კ. პ. ცეკას—15 პრ. პროფკავშირებს—30 პროც. კომკავშირის ცეკას—15 პროც. მშრომელ გლეხობას—10 პროც. შრომისა და ომის ინვალიდებს და წითელარმიელებს—5 პროც. არა მშრომელ ელემენტებს—25 პროც.

კომპარტიისა და კომკავშირის ც. კომიტეტები და პროფკავშ. საბჭო ანაწილებენ დათმობილ ადგილებს სამაზრო დაწესებულებათა და ორგანიზაციებ შორის.

ვისაც მუშფაკები გაუთავებია, თავიანთ საბუთებს გადააგზავნიან შესაფერ უმაღ. სასწავლებელში, მუშფაკის პრეზიდიუმის შემოწმებით.

დანარჩენი პირები თავიანთ განცხადებას აძლევენ უ. სასწ. მიმღებ კომისიაში და მასთან ერთად წარადგენენ შემდეგ საბუთებს:

ა) წლოვანობის საბუთები (უმაღლ. სასწავ. შემომსვლელი არ უნდა იყოს 16 წელზე ნაკლები [illegible]), ბ) საბუთები განათლებისა; გ) განცხადებანი და მოწმობანი ნივთიერ მდგომარეობის შესახებ, დ) საბუთები—საიდანაც იგზავნება, ე) ორი ფოტოგრაფიული სურათი და ვ) პირადი ფურცელი (ანკეტა).

განცხადებანი შეტანილ უნდა იყვენ უმ. სასწ. მიმღებ კომისიაში 1 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე. ამის შემდეგ მიღებული განცხადება განხილულ არ იქნება.

ვისაც სპეცტეხნიკუმი გაუთავებია, ის მიიღება გამოუცდელად. მხოლოდ გამორკვეულ იქნება მისი კლასიური მდგომარეობა.

ვინც გამოცდას ექვემდებარება, ასეთი უნდა გაიარონ მათ 10—20 სექტემბერში.

მოსწავლეთა ჩარიცხვა უმ. სასწ. უნდა დამთავრდეს მიმღ. კომისიების მიერ 25 სექტემბრამდის.

უმ. სასწ. ჩარიცხული მოსწავლეები თუ არ დაიწყებენ მეცადინეობას 15 ოქტომბრამდე, მექანიკურად გამოირიცხებიან უმ. სასწ. მოსწავლეთა რიცხვიდან.

მუშა-მოსამსახურეები აგარაკებზე

ბახმარო.

საკურორტო სამმართველომ ჩამოსული ავადმყოფებისათვის გამოჰყო სამმართველოს განკარგულებაში მყოფი 7 სახლი სამთო-კლიმატიურ აგარაკ ბახმაროზე, რომელსაც ზღვის დონიდან საქართველოს ყველა აგარაკებზე უფრო მაღალი მდებარეობა აქვს.

მიმდინარე სააგარაკო სეზონში მოელიან დიდ ძალს მალარიით დაავადმყოფებულებს და ტუბერკულოზით შეპყრობილებს.

წყალტუბო.

კურორტ წყალტუბოში (ქუთაისის მაზრა) საკურორტო სამმართველო აწყობს მინერალური წყაროების და ტალახით საბანაო ადგილებს.

ამავე აგარაკზე ეწყობა აგრეთვე მზის ვანები.

ახტალა.

ამჟამად სამმართველოს გაჰყავს აგარაკ ახტალაში წყალსადენი, რომელიც მოკლე ხანში დამთავრდება. მილები გაჰყავთ წყაროდან, რომელიც აგარაკს ორი ვერსით არის დაშორებული. სამმართველომ უკვე შეაკეთა და მოაწყო 100 საწოლი, რომელიც დაეთმობათ სამკურნალოდ მოსულ ავადმყოფებს. აგარაკ ახტალაზე მოელიან დიდ ძალს ავადმყოფებს.

ბათომის მუშები აგარაკებზე.

ბათომის გადამრჩევმა კომისიამ პირველ ივნისიდან—15 ივნისს შუა საგარაკო - სანატორიულ მკურნალობისათვის თვენახევრის ვადით გაგზავნა 25 კაცი. აქედან პატარა—ცემში გაგზავნა—2, ბორჯომში—4, აბასთუმანში—7, სანატორიუმ არაზინდოში—12. საერთო დებულების თანახმად ყოველ 100 გაგზავნილ ავადმყოფიდან 80 ფიზიკური შრომის—დაზგიდან აყვანილი მუშაა. სურამის, ბორჯომის და წაღვერის დასასვენებელ სახლებში ყოველ ორი კვირის განმავლობაში იგზავნებიან მუშა-მოსამსახურეები, რომელთაც ერგებათ მორიგი შვებულება. უკვე გაიგზავნა ორი პარტია, უმთავრესად მეთამბაქოები, უდიდესი ნაწილი გაიგზავნა (35 კაცამდე) სურამში დასასვენებელ სახლებში იგზავნება 75 პროც. ფიზიკური შრომის და 25 პროცენტი გონებრივი შრომის მუშაკი.

აფეთქება არსენალის რაიონში

(დაწვრილებითი ცნობები)

8 ივლისს დახლოებით ღამის თორმეტის ნახევარზე, არსენალის რაიონში, საარტილერიო საწყობს იქით მდებარე ერთ-ერთ ფარდულში გამოურკვევ მიზეზების გამო გაჩნდა ცეცხლი, ამ ფარდულში ეწყო სამხედრო უწყებისათვის გამოუსადეგარი და სამოქალაქო სამეურნეო ორგანიზაციებისათვის მისაყიდათ დანიშნული ასაფეთქებელი მასალები.

ფარდულთან და სხვა საწყობებთან მდგომმა დარაჯებმა, შენიშნეს თუ არა ცეცხლი, რამოდენიმეჯერ გაისროლეს თოფებიდან, ნიშნის მისაცემათ, რომ ფარდულს საფრთხე მოელის.

11 ს. 35 წ. მოხდა აფეთქება—აფეთქდა ფარდულში თავმოყრილი მასალები.

აფეთქების დროს არავინ არ მომკვდარა. საგუშაგოებზე, აფეთქების ადგილის ახლო მდგომი რამდენიმე წითელარმიელი მსუბუქათ დაიჭრა.

არსენალის არც ერთი საწყობი არ დაზიანებულა. ცეცხლის გაჩენის მიზეზების გამოსარკვევად სამხედრო უწყებამ გამოჰყო კომისია, რომელმაც დაადასტურა, რომ ცეცხლი ფარდულში გაჩნდა შემთხვევით და რომ, ყოველ შემთხვევაში, არ მოიპოება ცნობები, რომ აქ ბოროტ განზრახვას ჰქონდა ადგილი.

როგორც დარაჯები, ისე აფეთქების ადგილას გამოწვეული ჯარის ნაწილები მეტად ენერგიულად მოქმედებდენ.

სიძველეთა ნაშთები კახეთში

ამ რამდენიმე ხნის წინად დავათვალიერე დავით გარეჯისა და ნათლისმცემლის უდაბნოები.

აქ ჰხედავ უმშვენიერეს კოშკებს, რომელნიც დარაჯობენ ტფილისს აღმოსავლეთის მხრივ, ჰხედავ სამსართულიან სენაკებს მიწა-კლდე-ქვა-კიბეებით სავალს; ჰხედავ კლდეში ჩაკვეთ ტაძრებს, [illegible] ეკლესიათ და სხვ., ჰხედავ უძვირფასეს სახატებს; ჰხედავ დავით გარეჯელის სურათს გამჭკნარი, მაგრამ ძლიერად და ცეცხლებრ გამომეტყველი სახით. ჰხედავ აკლდამებს მტრის მიერ შემუსვრილთა ძვლებით; ჰხედავ უსიცოცხლო კლდეთ. რომელთათვისაც [illegible] ხალხს სიცოცხლის [illegible] წყაროა, მისი პატარა პირი დაუსერ-დაღულარია წვიმის წყლის შესაგროვებლად. ამოკვეთია მისთვის უზარმაზარი აუზები და მათზე სავალად აუყვანია კლდეზე ლამაზი კიბეები.

ჰხედავ კლდის გამოქვაბულში ცვარად გამომდინარ „ცრემლის წყარო“-ს; უყურებ და გიკვირს ეს ნაკეთობა. აქ მაღალი ხეობებია სავსე გამოქვაბულებით, რომელნიც 1000 მეტი იქნება. ეს ქალაქია გამოქვაბულთა; ეს ქალაქია უდაბნოში.

მომხიბლავია ნაგებობა და კლდეკვეთილობა ყველა აღნიშნულ ძეგლთა.

გული სევდით გევსება, როცა ჰხედავ ამ დიდებულ ისტორიულ ძეგლებს აოხრებულ-ტიალებულს. დღეს ამ უდაბნოებში ყველაფერი მკვდართა სამარეს მოგვაგონებს. ოდესღაც სიცოცხლით სავსე შესანიშნავი სენაკ-დარბაზნი (საბა ორბელიანისა და სხვ.), თითქმის ნახევრად დანგრეულ - დამსხვრეულნი, დღეს გველთა და ღრიანკალთა საბუდრად გამხდარა.

განა ბედამანი ამ დიდებულ ნამუშევარ-ნაღვაწთ დაანგრევ-გაანადგურებს? 1918 წლიდან ახლო-მახლო მცხოვრებთ გაუტიალებიათ ყველაფერი, განსაკუთრებით ნათლისმცემელი; აქ ფიცრის ნასახიც კი არ დაუტოვებიათ; სადაც კი ხის მასალა ჰქონია კედლებს თუ კარ-ფანჯარას, ყველგან გამოულეწ-გამოუმტვრევიათ და წაუღიათ: ბევრგან კედლები ნახევრად ჩამოუქცევიათ; აქ თითქმის ყველაფერი მთლად განადგურებაზეა მიმდგარი.

მთავარი უდაბნო დავით გარეჯელისა შედარებით სხვებთან ნაკლებ არის დაზიანებული და მისი აღდგენა კიდევ შესაძლებელია.

დიდი შრომა მიუძღვის ამ გამოქვაბულთა დაცვაში იქ მცხოვრებ გ. აბაშიძეს და თავის დამხმარებელ ტაირის პუნქტის მუშაკთ ბადაშვილს, თომაშვილს, გიუტაშვილს, სიმონიას და სხვ.

დიდ პატრონობას უწევს ძეგლებს აგრეთვე ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარე სუხიშვილი, რომელსაც ზემოხსენებულ მეთვალყურე გ. აბაშიძისათვის მიუცია მთავარ უდაბნოს მახლობელი საძოვარი ადგილი თავის შემოსავლით.

უდაბნოების ისტორიულ ნივთთა შორისაც ერთი თვალსაჩინო ნაწილი დაღუპულა. აოხრებელთ გაუტაცნიათ განძეული და ჭურჭელი თამარ მეფის და გიორგი ბრწყინვალის დროისა. სხვათა შორის: გადმოცემით თამარ მეფის ხელით ნაქარი მღვდელმთავრის შესამოსი, ძვირფასი ხელოვნებისა, 3 ხელი; საბერძნეთიდან მე-12 ს-ში მოტანილი ამგვარივე შესამოსი ბერძნული წარწერებით, შემოწირული მონასტრისათვის, უძვირფასესი ხელოვნებისა, 1 ხელი;

ძველი ხატი ნათლისმცემლისა, ვერცხლისა; ვერცხლის ჭიქა, შეწირული ქეთევან დედოფლის მიერ, ჯვრები ვერცხლისა 7 ცალი; ზარძიმ-ფეშხუმი ვერცხლისა წარწერებით 7 [illegible]; ჯამები წარწერებით, [illegible] 15 ფუ- სპილენძეული [illegible]-თი, რომელთა შორის ძველი ჭურჭელიც ყოფილა. მთავარი უდაბნოდან 5 ზარი წაუღიათ ვინმე ტფი[illegible] და ტფილისში გაუყიდნიათ. ხოლო რაც შემორჩა მთავარ ისტორიულ ნივთებს აღნიშნულ უდაბნოებისა: „მადლის ქვას“, კვერთხის თავს და სხვ. ისინი გადატანილია ზემოხსენებული გ. აბაშიძის მიერ და ჩემ მიერ უკვე [illegible]ტანილია ტფილისში.

დავით გარეჯის თორმეტი უდაბნო უნდა აღდგეს როგორც ისტორიული ძეგლი. საჭიროა დღესვე დანიშნულ იქნეს დარაჯები ჯამაგირით და თოფით ორი დავით გარეჯაში, ერთი ნათლისმცემელში და ერთიც ბერთუბანში.

გარდა დავით-გარეჯისა დავათვალიერე აგრეთვე ბოდბის წმ. ნინოს მონასტრის ფრესკებიანი ეკლესია. იგი უნუგეშო მდგომარეობაშია. მუდმივი კარდაკეტულობისა გამო მას სინესტე გასჩენია, რისგანაც მხატვრობა დაზიანებულა. ამ ორი წლის წინად, როდესაც მე იგი პირველად ვნახე, კარგად იყო დაცული. ერთი წლის წინად ვნახე იგი და მაშინ კი სამხრეთის თაღს სითეთრე გასჩენოდა და ფრესკები ჩამოფხვნილიყო და დღეს კი ფრესკები არა თუ აქ, არამედ მრავალ სხვა ადგილასაც ძლიერ გათეთრებულა, ბევრი ადგილი ძლიერ დაზიანებულა და კვლავაც ზიანდება. გარდა ამისა ეკლესიის სამხრეთის სახურავზე ამოსულა მცენარეები და როგორც სჩანს აქედგან წყალი ჟონავს სახურავს და ამიტომაც არის, რომ ეს თაღი ყოვლის უწინარეს დაზიანდა.

უკანასკნელ ვნახე ხირსის მონასტრის ეკლესია. არც ის არის ნაკლებ ცუდ მდგომარეობაში. ეკლესიის გუმბათის სახურავი მთლად აყრილი აქვს, თაღი წვიმით გაჟღენთილა, რაც სასწრაფო დანგრევას უქადის მას. გუმბათის მინები მთლად დალეწილი აქვს, რის გამოც იგი ფრინველთა საბუდრად გამხდარა.

ბოდბისა და ხირსის ძეგლთა შესახებ განცხადება მივეცი სიღნაღის აღმასკომის თავმჯდომარეს პ. ჩახნაშვილს, რომელშიაც აღვნიშნავდი მათ გახსნასა და მომვლელ-პატრონთათვის გადაცემის საჭიროებას. იგი შემპირდა შესრულებას სულ მოკლე ხანში.

იმედია ამ შესანიშნავ ძეგლთა დაცვას საქმე დღეის იქით მოწესრიგებული იქნება.

გიორგი ბოჭორიძე.

საბჭოთა სასამართლო

პროკურორ მაჭავარიანის, ჯორბენაძის და სხვ. საქმე

9 ივლისის დილის სხდომა

კამათი გრძელდება. უზენაეს სასამართლოს დილის სხდომაზე, მოსმენილ იქნა მხარეების სიტყვები.

თავის სიტყვაში **ამხ. კარტოზია** გადაჭრით მოითხოვს, დამნაშავეთა მიმართ მკაცრი განაჩენის გამოტანას.

წამოყენებულ ბრალდებებს ის დამტკიცებულად სთვლის და ბრალდებულების მიერ ჩადენილ დანაშაულს კატეგორიების მიხედვით ჰყოფს.

ნიკოლოზ მაჭავარიანის მიმართ ის მოითხოვს სასჯელს გათვალისწინებას სისხლის სამართლის კოდექსის მე 117-ტე მუხლის მეორე ნაწილი—ე. ი. თავისუფლების აღკვეთას არა უმცირეს 3 წლისა.

თამარ მაჭავარიანის და ფიზიცკის მიმართ, ამავე კოდექსის 117 მუხლის პირველი ნაწილის შეფარდებას. სიმონ ჯორბენაძის და ლოტოევის ბრალდებას, 108 მუხლის მეორე ნაწილში გათვალისწინებულ დანაშაულად სთვლის და მათ მიმართ ითხოვს დისციპლინარულ სასჯელს, რაც გამოიხატება სამსახურიდან დათხოვნაში.

ბრალდებულ შოშიაშვილის მიმართ ის თხოულობს ს. ს. კოდექსის მე-112 მუხლში—(ხელისუფლების გადამეტებაში) გათვალისწინებულ სასჯელს.

უზენაეს სასამართლოს პროკურორის, **ამხ. კარტოზიას**, საბრალდებულო დასკვნებს, სავსებით მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდების მეორე წარმომადგენელი **ამხ. გახოკია.**

მათი საბოლოო სიტყვის შემდეგ, რეპლიკის სახით ილაპარაკეს დამცველებმა: მესხიშვილმა, ქავთარაძემ, შურღაიამ, გელაზაროვმა და დოლუხანოვმა. წამოყენებულ ბრალდებებს ისინი დაუმტკიცებლად აღიარებენ და სთხოვენ უზენაეს სასამართლოს ბრალდებულთა უდანაშაულოდ ცნობას.

მხარეების კამათი დილის სხდომაზე დასრულდა: მორიგი სხდომა დაინიშნა ამავე დღის საღამოს 7 საათისათვის.

მუშათა ცხოვრება

ტფილისს მოკლე ფეხები აქვს.

(საქართველოს მ. გ. ინსპექციისაგან).

გაზ. „კომუნისტი“-ს ა. წ. 21 ივნისის 140 (1295) №-ში წერილის— „აუტანელი ბიუროკრატიზმი და უსაქმობის ბუდე უნდა დაინგრეს“-ის გამო, საქ. მ. გ. ინსპექცია მის განკარგულებაში მყოფ მასალების და აგრეთვე აღმასკომის საკონტროლო განყოფილების საქმის მდგომარეობის ადგილობრივად ფაქტიურ გაცნობის მიხედვით უარყოფს გაზეთში მოთავსებულ გაზვიადებულ ცნობების სინამდვილეს. მის ავტორებს მიზნად დაუსახავთ პატიოსან მუშაკთა გალანძღვა და დაწესებულების სახელის შელახვა. ამ საქმეში დამნაშავე თბილისის აღმასკომის საკონტროლო განყოფილების თანამშრომელნი უკვე მოხსნილი არიან თანამდებობიდან პასუხისგებაში მიცემით.

ს. ს. ს. რ. მუშათა და გლეხთა ინსპექცია.

ეს საქმე გამოასწორეთ.

(ჯანმრთელობის კომისარიატის საყურადღებოდ).

ქალთა საზებიო ინსტიტუტის კლინიკაში ექიმ თუმანიშვილის განყოფილება გათვალისწინებულია 8 ავადმყოფისათვის, ფაქტიურად კი იქ წევს 21 ავადმყოფი. მოსამსახურეთა შტატი უცვლელია. ერთი ქალი („სიდელკა“) ვერ ესწრება ავადმყოფების მოვლას და ხშირად [illegible] მოვალეობის ასრულებს. იმავე კლინიკაში გვერდით პროფ. [illegible] განყოფილებაში 6 ავადმყოფია და ისეთივე შტატი ჰყავს, [illegible] თუმანიშვილს. ეს არანორმალურია. ასეთ შემთხვევებში თუ შტატის გადიდება შეუძლებელია, მოსამსახურეთა გადაყვან-გადმოყვანა მაინც უნდა ხდებოდეს საჭიროების მიხედვით.

ბზიკი.

დამნაშავე უნდა დაისაჯოს.

(სისხ. სამართ. მილიციის საყურადღებოდ).

ივნისის 27-ს ანდრეევის ქუჩის და ბატარეის კუთხეებში მეჩექმე ირაკლი პაიჭაძემ დანით მძიმედ დასჭრა რკინისგზელი კავშირის წევრი ამხ. გიორგი ჩუბინაშვილი, მაგრამ „ძმა-ბიჭების“ და „ბიძაშვილების“ წყალობით დამჭრელი პაიჭაძე დღეს თავისუფლად დასეირნობს თბილისის ქუჩებში, დაჭრილი ჩუბინაშვილი კი სისხლიდან დაცლილი საავადმყოფოში სულს ლაფავს. ნეტავ რას იტყვის სისხლის სამართლის მილიციის უფროსი ამაზე.

მეზობელი.

გვიხსენით [illegible] ქალისაგან

(მთ. მილიციის პროკურატურის საყურადღებოდ).

სუნჯინის ქუჩაზე სახლი № 4-ში (მე-11-ტე კომისარიატი) სცხოვრობს სხვა მუშა-მდგმურებთან ერთად— ვინმე მელანია გლოტოვის ასული, თავისი ძმით. ეს ქალბატონი არ გვაძლევს მოსვენებას და ყოველ დღე გვეჩხუბება ყველა მეზობლებს ათასგვარი ქუჩური ლანძღვა-გინებით, თუმცა ის ამის გამო კიდევაც იყო დაჯარიმებული მილიციის უფროსისაგან და ხელწერილიც ცალკე აქვს ჩამორთმეული, ის მაინც არ იშლის თავისას და გვეჩხუბება.

მილიციავ და პროკურორო მიიღეთ ზომები ამ ბოროტ ადამიანის ასალაგმავად.

ხელს აწერს 14 მდგმური.

ღვინის ვაჭარია თუ დარაჯი?!

(მთავ. სახელოსნოს ადკომის საყურადღებოდ).

მთავ. სახელოსნოში მუშაობს ვანო ძამაშვილი დარაჯად, რომელიც ცხოვრობს დიდუ[illegible] ქ-ზე სახ. № 21-ში. [illegible] ღვინით ვაჭრობაზე არა ერთხელ ყოფილა გაზეთებში წერილი მოთავსებული, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო უყურადღებოდ დარჩა, და ის კი ისევ ვაჭრობს ოთახიდან ღვინით.

ადგილკომო, მიიღე ზომები და გამოარკვიე, ის დარაჯია თუ ვაჭარი?

მუშკორი დონ-ჟუანი.

მუშათა ქრონიკა

(რკინისგზელთა ცხოვრებიდან)

— **ნახევარი საათით შესვენება.** ა | კ. რკინისგზის ჯანმრთელობის [illegible] ადგილკომმა [illegible] სამმართველოს [illegible] გზა ადმინისტრაციის [illegible] გეგმილთან ერთად გადასწყვიტა საკითხი დაწესებულებებში ნახევარი საათით შესვენების შესახებ.

— **ექსკურსიები.** ა | კ. რკ. გზ. ჯანმრთელობის სამმართველოს ადგილკომმა დაადგინა მოაწყოს შაბათობით ექსკურსიები დასასვენებელ სახლებში.

— **ბიბლიოთეკებისათვის.** ა | კ. რკ. გზ. ჯამრთელობის სამმართველოს ადგილკომმა მიმართა [illegible] დარგის [illegible] გასცეს საჭირო თანხა საკუთარ წიგნთსაცავების მოსაწყობად.

— **ხარჯთ-აღრიცხვა.** სრულიად საკავშირო რკინისგზის სოცდაზღვევის კომიტეტმა დამტკიცა ლიბანის სანატორიუმის შინაგან მოსაწყობად შედგენილი ხარჯთაღრიცხვა 150.000 მანეთის რაოდენობით. განზრახულია მოეწყოს რენტგენის კაბინეტი.

ქრონიკა

— **ნაგვის საწვავი ფეჩები.** თბ. აღმასკომის კომუნალურ განყოფილებამ გერმანიაში შეუკვეთა ნაგვის საწვავი ფეჩები.

— **თუჯის დამზადება.** მიმდინარე წლის პირველ 8 თვის განმავლობაში ჩათახის ქარხანამ გამოადნო და დაამზადა 32 ათასი ფუთამდე თუჯი.

— **ქვა-ნახშირი.** ამა წლის პირველ ნახევარში ტყიბულის მაღაროებში დამუშავდა 2072 ათასი ფუთი ქვა-ნახშირი.

— **სპირტის გამოხდა.** საქ. სპირტის ტრესტმა 1924 წლის ოქტომბრიდან 1924 წ. 1 აპრილამდე გამოხადა 1,500 ათასი გრადუსი პურის და 1 მილიონი გრადუსი ჭაჭის სპირტი.

— **მოზარდთა სახლი.** შრომის სახ. კომისარიატის ცნობებით, თბილისში მოსაწყობი უმუშევარ მოზარდთა სახლი დაიტევს 76 უმუშევარ მოზარდს.

— **ტყიბულის ქვანახშირს** უმთავრესად ხმარობს რუსეთი, შემდეგ ა | კავკასიის რკინისგზათა სამმართველო და შემდეგ საქ. ლითონის ტრესტი.

— **პურის ჭია.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატმა ახალქალაქში მიავლინა ინსტრუქტორი მაზრაში გაჩენილ პურის ჭიის საწინააღმდეგო ზომების მისაღებად.

— **ფუტკრის დაავადება.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატის ცნობით, მანგლისის რაიონში ფუტკარს გაუჩნდა სნეულება. საქმის ადგილობრივ გამოსაკვლევად 27 ივლისს მანგლისში გაემგზავრა მეფუტკრეობის ბიუროს გამგე ამხ. ლოლაძე.

— **მათემატიკური ტერმინების ლექსიკონი.** გამოვიდა სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფ. ნ. მუსხელიშვილის, დოც. გ. ნიკოლაძის და დოც. არ. ხარაძის მიერ შედგენილი „მათემატიკური ტერმინების ლექსიკონი“ (3000 სიტყვა წმინდა და გამოყენებითი მათემატიკიდან და თეორიულ მექანიკიდან.) ფასი 50 კაპ. სახელგამის გამოცემა.

— **მავნებლებთან ბრძოლის ბიუროს** მიერ მიღებულ ზომებით სოლანლუღში სავსებით მოისპო კალია ამჟამად ბრძოლა სწარმოებს კალისთან კუმისში და მის ახლო მდებარე ადგილებში.

— **ტყავის ტრესტმა** მიმდინარე წლის პირველ ნახევარში დაამზადა (მსხვილ ტყავზე გადაყვანით) 16 ათასი ცალი მსხვილი ტყავი.

— **ქ. [illegible] ძეხვის ქარხანას** ზამთრის სეზონში წმინდა მოგება დარჩა 4782 მან.

— **მუშათა პირობების გააუმჯობესებლად.** ერბოს სახელ ქარხანაში შესდგა მუშათა პირობების გასაუმჯობესებლად კომისია.

— **საექიმო დახმარება დაზღვეულებს.** თბ. დაზღვევ კასამ ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებას დაზღვეულთა საექიმო დახმარების გასაწევ ათ ივნისში მისცა 20.549 მან.

— **დაზღვეულთა ავადმყოფობის** გამო გაცდენილ დღეების ხელფასის ასანაზღაურებლად თბ. დაზღვევ კასამ ივნისში გასცა 89,771 მან.

— **ჯანსახკომის** სამხედრო სასანიტარო ქვეგანყოფილება სცემს ტერიტორიალური ნაწილებისათვის წიგნაკებს სანიტ-განათლების და ფიზკულტურის შესახებ.

— **ავადმყოფების გაგზავნა არაზინდოში.** ამ დღეებში დაზღვევ კასაში გამოკრული იქნება სია იმ ავადმყოფების, რომლებიც 15 ივლის გაიგზავნებიან არაზინდოში.

— **ზედნადები ხარჯები.** მატყლის დასამზადებლად ზედნადები ხარჯები წარმოკავშირის ცნობით წელს 40 პროცენტით ნაკლები იქნება წარსულ წელთან შედარებით

ხელოვნება

— **ხალხური სიმღერების შემკრების იუბილე.** ახლო ხანში ბათომში გაიმართება ხალხური და საეკლესიო სიმღერების მცოდნის და შემკრების მ. ნაკაშიძის 50 წლის იუბილე.

— **„დედოფლის შეთქმულება“.** დღეს ოპერის თეატრში როსტოვის აკადემიური დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება „დედოფლის შეთქმულება“. გრ. რასპუტინის როლს შეასრულებს ვ. ვოლხოვსკი.

შემთხვევები

ხანძარი. გუშინ, საღამოს 5 ნახ. საათზე, სასახლის ქ. № 3, საკომისიო მაღაზია „ცენტრალში“ გამოურკვეველ მიზეზების გამო გაჩნდა ცეცხლი. უბედურობის ადგილას სასწრაფოდ მოვიდა ცეცხლის მქრობელი რაზმი და ხანძარი ჩააქრეს სანამ სხვა მაღაზიებზე გადავიდოდა. დიდძალი საკომისიოდ დატოვებული ნივთი დამწვარია და გაოხრებული. ზარალი გამოურკვეველია.

— **მეორე სართულიდან გადმოვარდნა.** 8 ივლისს ვოდოვოზნის ქ. № 12 დილის 9 საათზე საწვიმე მილების შეკეთების დროს მეორე სართულიდან გადმოვარდა მუშა არშაკ ხაბულიანი და საგრძნობლად დაზიანდა.

— **ქურდობა.** 8 ივლისს, დღით, არტილერიის ქუჩაზე № 15 გაქურდეს [illegible] ზიორგობიანის ბინა. წაიღეს ნივთები 56 მან. ღირებული.

— **თავის მოწამვლა.** 8 ივლისს, ღამის ათ საათზე თხინვალის ქუჩაზე № 5 შემთხვევით (წყლის მაგიერ) დალია იოდი [illegible] ანნა გიორგობიანმა. დაზარალებული გადაგზავნეს საავადმყოფოში.

სოფლად

დრომოჭმული ადათების სოფელი

რაჭის მაზრ. სოფ. ღების დედაკაცები ჯერ კიდევ ძველებურად იცვამენ და სახე ლეჩაქით აქვთ ახვეული, რომლიდანაც მოუჩანთ მარტო თვალის ქუთუთოები. გამოვლენ თუ არა კვირა-უქმე დღეს საცეკვაოდ მუსიკა-დაირით, ცალკე მხრივ დედაკაცობა სდგას, და მეორე მხრივ კი მამაკაცობა. ისე, რომ ერთი-მეორეს კარგად ვერ დაინახონ, თორემ დალაპარაკებაზე ხომ ზედმეტია ფიქრი. სასეირნოთ გამოსულ დედაკაცებთან მამაკაცობა ვერ გაისეირნებს. რომ შევეკითხე მოხუცებულ დედაკაცს და მოსწავლე ბავშვებს ამის შესახებ, ასე მიპასუხეს: „პირისახე რომ დაანახონ ვინმეს, ან დაელაპარაკონ „ქვე უშლიანყე, სახლში გალახავენყე"-ო.

ყველაზე უფრო საკვირველი ისაა, რომ ასეთი დაქვეითება დედაკაცისა არის იქ, სადაც ცოლები ჰყავთ რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში ვაჭრებათ და წვრილ ხელობაზე გასულ რაჭველებს.

აქ კიდევ ერთ შევიწროებას ითმენენ ადგილობრივი ქალები. ღებელებს ჩვეულებათ ჰქონიათ ქალიშვილის აკვანში დანიშვნა და ზოგან ასეთ დანიშნულებს ჯერ კიდევ 13—14 წლისას ათხოვებენ სურვილის გარეშე. ამას რა თქმა უნდა მოჰყვება ცოლქმარ შუა გათიშვა, რამაც ამ ბოლო დროს ეპიდემიური ხასიათი მიიღო. ივნისში მაგალითად, 8-დე ასეთი შემთხვევა იყო.

საჭირო იქნებოდა, რომ ამ სოფელში იგზავნებოდეს მასწავლებლად განსაკუთრებით ქალები, რომელთაც ადგილობრივ ფართე მუშაობის საშუალება ექნებათ.

ღების მოწინავე ელემენტებს კი მართებთ განსაკუთრებული ენერგიით შეებრძოლონ მამაკაცთა ასეთ თავგასულობას და შეათვისებინონ მათ ქალთა უფლებების თანასწორობა.

ბესიკო ნამკაშურისპირელი.

ძვირფას საფლავებზე

დუშეთის აჯანყების დროს თორმეტამდე ჩვენი ამხანაგები ტყვედ ჩაუვარდა გვარდიელებს და ამ უკანასკნელების მიერ დახვრეტილი იქნენ. მათ შორის იყო ერთი ამხანაგი, რომელმაც გმირულად დალია სული და რომელსაც კომპარტიის [illegible] ერთი სიტყვა ვერ ათქმევინეს. [illegible] დაუვიწყარი ამხანაგი მი[illegible] [illegible] იყო.

[illegible] და მისი ამხანაგები დღემდის [illegible] განისვენებდენ მენშევიკების [illegible] გათხრილ სამარეში. ამ დღეებში ადგილობრივმა პარტ-ორგანიზაციამ და ა[illegible] [illegible] ლ. კ. კ. რაიონ[illegible] კომიტეტმა გადასწყვიტა მოძებნილი ყოფილიყო დახოცილთა საფლავები და მათი ნაშთისთვის მიეჩინათ სათანადო ალაგი. 28 ივნისს დიდი პროცესია გაემართა ძვირფას საფლავებისკენ. ამოიღეს მათი უკანასკნელი ნაშთები და ჩააწყვეს წითელ კუბოებში.

გადაღებული იქნა ამ ადგილზე ფოტოგრაფიული სურათი. ამის შემდეგ პროცესია გაემართა ადგილობრივი ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულების პირდაპირ გაშენებულ პატარა ბაღისკენ, სადაც ახალი სამარე ელოდებოდა უთანასწორო ბრძოლაში დაღუპულ რევოლუციონერებს.

დასაფლავებაზე წარმოთქმული იქნა მრავალი მგრძნობიარე სიტყვები.

ვ. ხუჯაშვილი.

წერილებიდან

ს/ შაშიანი (კახეთი). ჩვენი გლეხობის [illegible] ნაწილს დაწვეული ჰქონდა მოსავალი. [illegible] სეტყვამ და ნიაღვარმა დიდი ზარალი მიაყენა ბაღ-ნათესებს. თუ დამხმარე [illegible] ადგილობრივმა ორგანოებმა დროით აუნაზღაურა გლეხობას ზარალი, ეს იმის თავდები იქნება, რომ მთელი სოფელი დააზღვევს მოსავალს და უზრუნველყოფილი იქნება სტიქიურ უბედურებისაგან.

კაკიანთხეველი.

—

ს. კარალეთი (გორ. მ.). ამ შვიდი თვის წინათ აქ მოხდა ყოფილ თავად ერისთავის ავეჯეულობის გაყიდვა ადგილობრივ გლეხებზე. ნივთებს შორის იყო როიალი. გლეხკომის დადგენილებით როიალი დატოვებულ იქნა ხელუხლებლათ საზოგადოებრივ საკუთრებათ. მაგრამ ეს კეთილი განზრახვა, მხოლოდ განზრახვათვე რჩება. საქმე ისაა, რომ ძვირფას მუსიკალურ ინსტრუმენტს მომვლელი არავინა ჰყავს და ის იმტვრევა უქმად დგომაში.

წ—ველი.

ს. ზანავი (ბორჯ. ხეობა). მოსავალი ისედაც 3 ან 4 თვის საკმარისი იყოდა აქ და წელს დიდი წვიმების გამო ამაზე ნაკლებსაც უნდა მოველოდეთ. ნიაღვარმა დაუჩხრა ხახვ-ხათეხი ნიწები. გლეხები ძალიან შეწუხებული არიან შექმნილ მდგომარეობით. საერთოდ უკმაყოფილებაა ახალდაბის თემაღმასკომის და სატყეო განყოფილების მიმართ, მოწმობების მიღებას მთელი კვირაობით ვუნდებით. ხალხის მოთხოვნილებას ნაკლებად აქცევენ ყურადღებას. ყოველ საქმეზე ხვალ და ზეგს გაიძახიან.

მუშა მტკვრისპირელი.

—

ს. მარანი. აქაური სკოლა სიძველისაგან დანგრევის პირათაა მიმდგარი. სოფელში უკვე შესდგა სკოლის საამშენებლო კომიტეტი და ენერგიულათ მუშაობს ახალი ბინის ასაგებათ. სამწუხაროდ ადგილობრივ მცხოვრებთ არ შესწევთ ღონე დაასრულონ ეს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობის საქმე. ამიტომ კარგი იქნებოდა, რომ მარნის სკოლაში აღზრდილი, დღეს ბევრი საპასუხისმგებლო საქმეზე მდგარი ამხანაგები გაიღებდენ თავის მხრივაც შესაფერის დახმარებას.

ა. გოგიშვილი.

სოფლის ქრონიკა

— **გაზეთები გლეხებისათვის.** წითელი ქალაქის სათემო აღმასკომმა დაადგინა გამოიწეროს სოფლებისათვის 2 ცალი „კომუნისტი", 25 ცალი „ახალი სოფელი", 2 ცალი „მუშა".

— **წალვერის** აღმასკომმა დაადგინა გახსნას სანიმუშო სამკითხველო, რომელიც მოთავსებული იქნება ადგილობრივი თეატრის შენობაში.

— **წყალდიდობის საშიშროების** გამო სამხრ. ოსეთის ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადასწყვიტა მდ. ლიახვის პირად მდებარე საავადმყოფო მოშალოს და გადაიტანოს უშიშარ ადგილას.

— **სიძველეთა დასაცავად.** გორის აღმასკომის მიწერილობის თანახმად მაზრის ყველა სოფლებში ეწყობა გლეხობის მიერ სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომისიები.

სოფლის ფოსტა

ს. რურუას, (ს. ბანძა). წერილი არ მიგვიღია. გამოგზავნეთ მეორეთ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— დღეს, 10 ივლისს, საღამოს 5 საათზე. ქართ. მუშფაკის შენობაში (ყოფილი რეალური სასწავლებელი) შესდგება ქართულ მუშფაკის და სახელმწიფო უნივერსიტეტის კომუჯრედების გაერთიანებული კრება.

ყველა წევრებს და კანდიდატებს, რომლებიც ირიცხებიან ზემოაღნიშნულ კომუჯრედებში, რაიკომი წინადადებას აძლევს, პარტდისციპლინის წესით, გამოცხადდენ დანიშნულ დროზე დაუგვიანებლად.

ქალ. რაიკომი.

— თ კომიტეტი წინადადებას აძლევს ამხ. ბადურაშვილსა და ფეოდორ გოგიას, ორი დღის განმავლობაში გამოცხადდენ მეორე ქართულ მსროლ. დივიზიის შტაბში (ევანგულოვის ქ.).

განცხადებები

დედა ანნა მაჭავარიანისა, ძმა ილია მაჭავარიანი, ბიძა გიორგი შოშიაშვილი, დეიდები ნატალია შანშიაშვილისა, ოლა გომელაურისა მწუხარებით აუწყებენ ყველა ნაცნობებს და მეგობრებს, რომ 9 ივლისს საღამოს 7 საათზე ტრაგიკულად გარდაიცვალა

ეკატერინე ნიკოლოზის ასული
ჩანგაშვილისა

გამოსვენება დღეს, დილით 10 საათზე მიხეილის საავადმყოფოდან ბინაზე სამების ქ. № 4. დასაფლავება ნაშუადღევის 3 საათზე ქუკიის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე.

ანასტასია ქაიხოსროს ასული
თურქიას

გარდაცვალების მეორმოცე დღეს გადახდილ იქნება პანაშვიდი ქ. ქუთაისში საფირჩხიის სასაფლაოზე კვირას, 12 ივლისს, დღის 12 საათზე.

1915 1—1

დამწუხრებული სიდედრი ტასია ქაიხოსროს ასული, სიმამრი ალექსი გაბრიელის ძე, ცოლის ძმები: გიორგი და კოლია, რძლები: ოლღა ექვთიმეს ასული და ანიკო გიგოს ასული შანიძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ გარდაცვალებას მათთვის ძვირფასი, დაუვიწყარი სიძის

საბა დიმიტრის ძე
კვანტალიანისას

რომლის დასაფლავება მოხდება შაბათს, 11 ივლისს, დღის 3 საათზე. ქ. სამტრედიაში.

1—1 1898

უზომო მწუხარებაში მყოფნი: პელაგია ბიჭის ასული, შუშია, საბა, დათიკო ბზიავები, არტემი და ბაბუცა კოტარია და ნესტანი მელიტონის ასული კალანდარაშვილი აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ 6 ივლისს ღამის თერთმეტ საათზე უეცრად გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

ალექსანდრე დიმიტრის ძე
რატიანი

რომლის დასაფლავება მოხდება, დღეს, 10 ივლისს, საღამოს 6 საათზე, ვერის სასაფლაოზე.

1—1 1914

დედა მარიამ ვაითასის ასული, დები: სუსანა, სოფიო, ნინო, ევგენია, ძმები: ივანე და გრიგოლ, რძლები: ვერა და პელაგია ფაფაზაშვილები, სიძეები: დავით მაჭარაშვილი ვლადიმერ ინაშვილი და ლეო კოტარია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 8 ივლისს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ომის ინვალიდი

პეტრე პავლეს ძე
ფაფაზაშვილი

გამოსვენება საკუთარ ბინიდან ჩერქეზიშვილის ქ. № 96 დღეს, 10 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათზე. დაკრძალვა კუკიის კათოლიკეთა სასაფლაოზე.

1927 1—1

ღრმად დამწუხრებული: ოლღა რატიანისა ქალებით ია და მედეა; სიდედრი ეფროსინე ქობალავასი, ალექსანდრე, დავითი და იპოლიტე ქობალავა; ბაბო და არტემ კოტარია ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს პირველის დაუვიწყარ მეუღლის, მეორის ძვირფასი მამის

ალექსანდრე დიმიტრის ძე
რატიანის

გარდაცვალებას. ცხედრის გამოსვენება მოხდება წმ. ნიკოლოზის ეკლესიიდან (ვერაზე) დღეს, 10 ივლისს, საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა იქნება იმავე ეკლესიაში.

1—1 1926

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ვერა ალექსის ასული კვანტალიანისა, შვილები ვალოდია, ალექსანდრე, მიშა ვახტანგი და ივლითი კვანტალიანები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ მათთვის ძვირფასი

საბა დიმიტრის ძე კვანტალიანის

გარდაცვალებას.

დასაფლავება მოხდება შაბათს, 11 ივლისს, 3 საათზე ქ. სამტრედიაში.

№ 1898—2—2

„ტერკუმსი"

სრულიად საქართველოს წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი საზოგადოება

1925 წლისათვის სცემს დასურათებულ

კედლის კალენდარს და
სასოფლო-სამეურნეო კალენდარს

შეკვეთა ამ თავითვე შეიძლება „წერკუმსი"-ს წიგნის მაღაზიაში თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 22.

თავმჯდომარის მოადგილე: ცინცაძე.
მდივანი: გოგიტიძე.

ნის. 1453. 3—1

საქ. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი

ა.-წ. 18 ივლისს დღის 12 საათზე ნიშნავს

შერეულ ვაჭრობას
თბილისის საავადმყოფოებისათვის

500 კუბ. საჟ. შეშის მისაწოდებლად. ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველები აძლევენ საწინდარს 2.500 მანეთს ფულით ან ქონებით გარდა იმ დაწესებულებათა, რომელნიც კანონით თავისუფალი არიან საწინდარის შეტანისაგან.

მიწოდების კონდიციების მიღება შეიძლება

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის
საფინანსო განყოფილებაში

საპიორის ქ. № 30, დილის 9 საათიდან 2 საათამდე.

ნის. 1460. 3—1

სამშაბათს, 14 ივლისს, დღის 2 საათზე

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ბინაზე (ევანგულოვის ქ. № 2) სახელმწიფო საჯიშო საჯინიბოს განყოფილებაში

გაიმართება

საჯარო ვაჭრობა

მუხრანის ცხენების ძარხნის გოსლების შესაკეთებლად

ვაჭრობის პირობებთან გაცნობა შეიძლება სახელმწიფო ცხენების მომშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე მეკადინეობის საათებში.

ნის. 1463. 2—1

თბილისის კომუნალური ბანკის გამგეობის განცხადებაში, რომელიც იყო დაბეჭდილი გაზეთ

„კომუნისტში" № 154 (1309)

ა.-წ. 8 ივლისს შეპარულია შემდეგი შეცდომები:

დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
1) ელიაძეების	
გადასახად. 2062 მ.	გადასახად. 4062 მ.
4) კირაკოზოვების	
ძირ. ვ. 360 მ. 50 კ.	ძირ. ვ. 360 მ. 60 კ.

ნის. 1464. 1—1

მუნიციპალის საავადმყოფოსათვის საჭიროა
გამგე ექიმი ქირურგი-გინეკოლოგი

მსურველთ მიმართონ თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებას

თბ. ჯანმრთელობის განყოფილება.

ნის. 1465. 1—1

თანახმად §§ 26 და 27 საზ. „ჩემო-"ს წესდებისა

20 ივლისისათვის 1925 წ. 12 საათზე,

საზ. „ჩემო"-ს შენობაში (რუსთველის პრ., 23)

მოწვეულია საზ. „ჩემო"-ს წევრთა

არაჩვეულებრივი

საზოგადო კრება

განსახილველია:

1. ჭიათურის მარგანეცის საექსპორტო საზოგადოების („ჩემო"-ს) ლიკვიდაცია.
2. მიმდინარე კითხვები,

ნ. 1459 1—1

საზ. „ჩემო"-ს საბჭო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხა ჩოდრიშვილის
სახელობის
შინამრეწვ. ხელოსანთა საზოგადოების

კლუბი

(პლეხანოვის პროსპექტი № 66)

ყოველ დღე კინო, წარმოდგენები, ლოტო, ბილიარდი და სხვა გასართობები.

კლუბში მოწყობილია სამკითხველო და ლენინის კუთხე. საღამოობით უკრავს სასულე ორკესტრი.

ბაღი გამშვენიერებულია და განათებულია

კლუბთან გახსნილია

ბუფეტი-რესტორანი

აზიური და ევროპიული საჭმელებით.

ფასები ხელმისაწვდომია

საუცხოვო კუთხე დასასვენებლად.

ნის. № 1323—25—19

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დიარსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე ინ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25—1

ექიმი ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათამდე საღამოს 6—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ.

25—3

ექიმი გ. მ. ფხალაძე

კანისა და ვენერიული სნეულ. სიფილისი (606 914)

მიღება კაც. 7—8 ს. დილ. 7—8 ს. საღ. ქალების 6—7 ს. საღ. მოსკოვის ქ. № 4.

25—8

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდი. ბებუთოვის ქ № 38.

25—8

ექიმი მ. ო. ზანდუკელი

დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ვენერიულ ავადმყ. ლენინის (ოლღას ქ. 49).

ტელ. 4—82 საღამოს 7—8 საათ. ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.

25—7

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.

საპიორის ქუჩა № 35. ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.

25—18

ექიმი გ. გ. მევრაგიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გასული ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

25—2

ექიმი ი. დ. თოფურიძე

ალინინის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

25—2

ექიმი გ. ი. შაპელნიკოვი

ელისაბედის ქ. № 7

სპეციალურად: ვენერიული სნეულებანი, სიფილისი და კანის ავადმყოფობანი.

მიღება ყოველ დღე დილ. 8—9 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე, კვირაობით მხოლოდ დილით 10 საათამდე, ქალებისათვის დღის 3—4 საათამდე.

25—7

კბილის ექიმი

ვ. თ. რატიან თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე. დ 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

25—3

მანგლისი

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი

შინაგან და ქალთა ავადმყოფობაში იღებს დილის 9—12 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

25—20

ბალ ცევის აგარაკი, ბაღის მახლობლად

ექიმი ა. ს. ფუნ-ირტელი

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყურ. ბოლნიცი).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილისა სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე

25—3

წალვერი

მედიცინის დოქტორი ა. ა. მონე

მოზრდილთა და ბავშვთა შინაგან ორგანოების და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობაში იღებს დილის 10—1 საათამდე ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით. საპუნოვის აგარაკი № 5 (კოოპერატივის მახლობლად).

25—9 1793

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ. საღამოთი 5—8 საათ.

ქალებისთვის 12—1 საათ

სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.

25—11

დავკარგე სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლების ბილეთი გიორგი ყარალაშვილის სახელზე ჩ. გ.

1912 1—1

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 3171 ვერა ივანეს ასული ჯაფარიძის სახელზე ჩ. გ.

1910 1—1

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 1898 ალექსანდრე გეგეჭკორის სახელზე. ჩ. გ.

1961 1—1

დავკარგე ბორის ყარამანის ძე ანთელავამ სამხედრო საალრიცხვო წიგნაკი და პირადობის მოწმობა. ჩ გ.

1913 1—1

დავკარგე ლვ ნის გადასატანი მოწმობა ჩემ მიერ აღებული 1924 წ. ოქტომბერში ალექსანდრე ჩიორინაშვილის სახელზე. ჩ გ.

1911 1—1

დავკარგე იარაღის ტარების მოწმობა და პირადობის მოწმობა, დამზღვევი სალაროს წიგნაკი, სამთომადნო კავშირის წიგნაკი და სამხედრო საალრიცხვო ბარათი გედევან ერასტის ძე მიქელაძის სახელზე. ჩ. გ.

1917 1—1

დავკარგე მეტრიკა ვლ. ნასარიძის სახელზე. ჩ. გ.

1924 1—1

დავკარგე გიორგი სიმონის ძე ჯავახიშვილმა შემდეგი დოკუმენტები: 1. საბჭოთა მუშაკების პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 6335, 2. სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 2023, 3. „რემედასი"-ს საწევრო წიგნაკი, 4. საბჭოთა მუშაკების კლუბის საწევრო წიგნაკი, 5. პირადობის მოწმობა სასოფლო-სამეურნეო ბანკის ადგილკომის მიერ მოცემული და სხვა საჭირო საბუთები. ჩ. გ.

19.5 1—1

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი და პირადობის მოწმობა გიორგი იოსების ძე ხუროშვილის სახელზე. ჩ. გ.

1923 1—1

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი რაფიელ გაბრიელის ძე ელიაშვილის სახელზე. ჩ. გ.

1922 1—1

დავკარგე ქვითარის წიგნაკი № 2601 და 27 ცენტროტრასოტის მიერ გაცემული ქარავნის სახელზე. ჩ. გ.

ნ. 1462 1—1

დავკარგე საკანდიდატო პარტიული მანდატი № 701 ვლადიმერ ივანეს ძე ფაჩუაშვილის სახელზე. ჩ. გ.

1918 1—1

დავკარგე დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 51747 სავლე ბველესიანის სახელზე. ჩ. გ.

1919 1—1

დავკარგე პირადი წიგნაკი № 1098 და მოწმობა № 1132 პეტრე ლომსაძეს სახელზე. ჩ. გ.

1921 1—1

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 2804 ვერა გიორგის ასული მირიანაშვილის სახელზე. ჩ. გ.

1920 1—1

ს.ს.ს.რ. ზომა-წონის პალატა ს.ფ.ს.ს.

ამით აცხადებს ყველას საყურადღებოთ რომ:

1. საბჭოთა კავშირის ცაკის დადგენილების თანახმად ყველა საექიმო მაქსიმალური ტერმომეტრების შემოწმება, როგორც საბჭოთა კავშირის საზღვრებში დამზადებული, ისე საზღვარ-გარეთიდან შემოტანილი, საბჭოთა საქართველოს საზღვრებში, სავალდებულოა საქართველოს ზომა-წონის პალატაში მათი გაყიდვის და საექიმო პრაქტიკაში ხმარებამდე.

შენიშვნა: იმ საექიმო ტერმომეტრების შემოწმება, რომელთაც დართული აქვთ მოწმობა ან ბეჭედი საბჭოთა კავშირის რომელიმე შემმოწმებელ პალატიდან სავალდებულო არ არის.

2. საექიმო ტერმომეტრებს, რომელიც შემოწმების შემდეგ სწორი აღმოჩნდა, დართული ექნებათ სათანადო მოწმობები და დასმული ექნებათ პალატის შესამოწმებელი დაღი.

3. ამის გამო სამკურნალო დაწესებულებებმა, აფთიაქებმა, საწყობებმა და სხვ. რომელთაც გასასყიდათ, ან სახმარებლად აქვთ საექიმო მაქსიმალური ტერმომეტრები, უნდა წარმოადგინონ ასეთები შესამოწმებლად.

4. გადასახადი საექიმო მაქსიმალურ ტერმომეტრების შემოწმებისათვის აღებული იქნება შემდეგი ნიხრით:

1. საექიმო მაქსიმალურ ტერმომეტრების შემოწმება—45 კაპ.

2. შემოწმება 5—20 ცალისაგან შემდგარი პარტიის წარდგენის დროს—25 კაპ.

3. შემოწმება 20—100 ცალამდე ტერმომეტრის წარმოდგენის დროს 20 კაპ.

4. შემოწმება 100-ზე მეტი ტერმომეტრის წარმოდგენის დროს 15 კაპ.

მისამართი: ზომა-წონის პალატა, ქ. თბილისი, პლეხანოვის № 117. ტელ. № 16—88.

პალატის უფროსი გოცირიძე

უფროსი შემმოწმებელი სმირნოვი

ნის. № 1461—1—1

ტირაჟი— 20.337

ვოსტო[illegible] სტამბა, საშა წულუკიძის ქ. № 4